# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 24 აგვისტო, 2010 წელი.

№157 (6523)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge | ვებ გვერდი: www.open.ge | ფასი 50 თეთრი.


## ბოზები ბეგარას რომ არ იხდიან, ამით თურმე სახელმწიფო იჩაგრება ②



## აფხაზეთი რუსეთს თუ საუკუნოდ ③ შეეკრა, საქართველოს რა, სამუდამოდ ჩამოსცილდება?

## იური მუხინი დოკუმენტურად პირში ჩალას ავლებს ⑦ ცოფმორეულ ანტისტალინელებს

## ⑧ ქართული მაფია — გადარჩენის პოლიტიკა

## საქართველოს საპატრიარქოს განცხადება



# ავხორცნი საკუთარ თავზე ღვთის სასჯელს მოიწევენ და ეს სასჯელი ერზეც გადმოვა!

**ვრცელდება ხმები იმის შესახებ, თითქოს თბილისში ან ბათუმში განზრახულია ე. წ. გეი-აღლუმის ჩატარება.**



ამასთან დაკავშირებით სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორის ლოცვა-კურთხევით ვაცხადებთ შემდეგს: 2000-წლოვანი ქრისტიანული ისტორიის მქონე ჩვენს ქვეყანაში, 100 000 მოწამის სისხლით მორწყულ ღვთისმშობლის წილხვედრ ივერიაში, წარმოუდგენელია და სრულიად დაუშვებელი ხალხისთვის მისაღებ ფორმად ჰომოსექსუალიზმის წარმოჩენა, რასაც მათი საჯარო მსვლელობის მოწყობა ნიშნავს.

გაუკუღმართებული სექსუალური ურთიერთობები არის უმძიმესი ცოდვა, რომლის ჩამდენნიც ამისგან სინანულით, ალსარებითა და ზიარებით უნდა გათავისუფლდნენ, რათა „ცოცხლივ ჯოჯოხეთად შთამხდელ რისხვას“ გადაურჩნენ (რუის-ურბნისის კრება).

საერთოდ ცოდვა და მისი თითქმის ყველა გამოვლინება კაცობრიობის განვითარების მთელ მანძილზე არსებობდა, მაგრამ არც ერთ დროს ნებადართულ მოვლენად არ მიიჩნეოდა. დღეს პირდაპირ თუ ირიბად ამის საწინააღმდეგო მდგომარეობა იქმნება.

ჩვენ ასევე ვალდებულნი ვართ, კიდევ ერთხელ გავაფრთხილოთ, როგორც ადამიანის მორალურ-ზნეობრივი დაცემის ხელშემწყობნი, ისე განსაკუთრებით მამათმავლობის, ლესბოსელობის და სხვა ავხორცეული გამოვლინებების ლეგალიზების უფლების მქონენი, რომ საკუთარ თავზე ღვთის დიდ სასჯელს მოიწევენ და ეს სასჯელი ერზეც გადმოვა.

შევნიშნავთ იმასაც, რომ მიუხედავად კომუნისტური რეჟიმის მავნე 70-წლიანი ზეგავლენისა, ჩვენი საზოგადოების უდიდესი ნაწილი ზნეობრივი ღირებულების მტკიცე დამცველია (არა აქვს მნიშვნელობა, რა აღმსარებლობისაა იგი) და ამდენად ჰომოსექსუალთა აღლუმი, ბუნებრივია, მათში მძაფრ რეაქციას გამოიწვევს, რაც შეიძლება მკვეთრ დაპირისპირებაში გადაიზარდოს.

ვთხოვთ ხელისუფალთ, არ დაუშვან სოდომ-გომორელთა საჯარო გამოსვლა, რომ იგი არ იქცეს საშინელი ცოდვისა და საზოგადოებრივი აღშფოთებისა და არეულობის მიზეზად.

დავდგეთ სასუფევლისკენ მიმავალ გზაზე, რათა ღმერთმა დალოცოს, დაამშვიდოს, გაამთლიანოს და გააძლიეროს სრულიად საქართველო.

## როგორ გადავჭრათ კონფლიქტები ერთი ფსიქოლოგის თვალსაზრისით ⑤



## გაიაფება არა, მოხარშული ნაბლი არ გინდათ?! ④



## ◎ წინ — მესამე ვადისკენ!

**საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე რუსულ გამოცემა „ვრემია ნოვოსტეისთვის" მიცემულ ინტერვიუში რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაზე საუბრობს. „ჯი-ეიჩ-ენი" ინტერვიუს უცვლელად გთავაზობთ.**



# დავით ბაქრაძე: საქართველო რუსეთთან დიალოგს სუფთა ფურცლიდან არ დაიწყებს

**დავით ბაქრაძე:** რუსეთმა აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის აღიარებით დაუშვა პოლიტიკური შეცდომა. ეს არის ჩიხი. პოსტსაბჭოთა სივრცეში რუსეთს მხარი არ დაუჭირა არც ერთმა სახელმწიფომ, მოსკოვთან მათი კარგი ურთიერთობის მიუხედავად. რუსეთის პოზიციების გავლენის მიუხედავად, მისი პოზიცია მხოლოდ ნიკარაგუამ, ვენესუელამ და ნაურუს რესპუბლიკამ გაიზიარეს. ევროკავშირი, აშშ, ჩინეთი, იაპონია — რუსეთის ყველა ძირითადი პარტნიორი აბსოლუტურად დისტანცირებულია ამ საკითხში.

ჩვენ მზად ვართ რუსეთთან საკითხები გადავწყვიტოთ დიალოგის გზით, მაგრამ ეს ვერ იქნება მოლაპარაკებები სუფთა ფურცლიდან. ძნელია ესაუბრო ქვეყანას, რომელსაც ჩვენს ტერიტორიაზე სოხუმსა და ცხინვალში საელჩოები აქვს. ჩვენი თანხმობის გარეშე, ათავსებს შეიარაღებულ ძალებს და აკონტროლებს საქართველოს მეხუთედ ნაწილს. ჩვენ შეგვიძლია დავიწყოთ მოლაპარაკებები ჯარის გაყვანის საკითხის განხილვით და კონფლიქტის დარეგულირების პერსპექტივებით. ნებისმიერი მცდელობა ამ თემების გვერდის ავლის, წარმოუდგენელია.

**— ესე იგი პირდაპირი მოლაპარაკებები შესაძლებელია?**

— ერთობლივი ძალისხმევის გარეშე აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მიმართულებით ურთიერთობების ნორმალიზება შეუძლებელია. როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ პოლიტიკური ურთიერთობის დარეგულირებაზე ან რუსეთის ჯარების გაყვანაზე, ეს არ ნიშნავს, რომ მხედველობაში გვაქვს რუსეთის განდევნა. ეს უნდა იყოს ღირსეული პროცესი ერთმანეთის ინტერესების გათვალისწინებით. ასეთი კომპრომისი აბსოლუტურად შესაძლებელია რუსეთის მხრიდან ელემენტარული კეთილი ნების პირობებში. შემდეგ, შესაძლოა, განვიხილოთ საზღვრის გახსნის, ავიამიმოსვლის აღდგენის საკითხები. ყველაფერი ის, რაც რიგითი მოქალაქეებისთვის არის სასარგებლო, მაგრამ ეს არ არის მთავარი ჩვენს ურთიერთობებში.

**— მაგრამ რუსეთი აცხადებს, რომ იგი არ აპირებს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარებაზე უარის თქმას, ხოლო სამხედროები იქ დისლოცირებულნი არიან ამ რესპუბლიკებთან ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე.**

— მოსკოვის ამ განცხადებების უკან ემოციები დგას. მოსკოვში დარწმუნდნენ, რომ ამ აღიარებამ არავითარი შედეგი არ მოუტანა, მაგრამ ამის გამჟღავნება ძნელია. უნდა გავიდეს რამდენიმე წელი, რომ ეს ემოციები ჩაცხრეს. შემდეგ მოსკოვში პრაგმატულად შეხედავენ ვითარებას და ჰკითხავენ საკუთარ თავს: რა მივიღეთ ჩვენ?, რა მოვიგეთ? და მიხვდებიან, რომ საქართველოსთან თანაბარუფლებიანი ურთიერთობის განვითარებით შეეძლოთ უფრო მეტის მიღება. მაგალითად, ჩვენ საერთო ინტერესები გაგვაჩნია ჩრდილოეთ კავკასიაში ვითარების სტაბილიზაციის საკითხში.

**— ამ დღეებში რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს გაოცება გამოიწვია აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მოხსენებამ 2009 წელს ტერორიზმთან დაკავშირებით. მოსკოვი მიიჩნევს, რომ იგნორირებულია ინფორმაციები იმის შესახებ, რომ თბილისი აწარმოებს „ორმაგ თამაშს" ჩრდილოეთ კავკასიაში ტერორისტულ იატაკქვეშეთთან.**

— საქართველოს სახელმწიფოებრივ ინტერესებში არ შედის ვითარების დესტაბილიზაცია ჩრდილოეთ კავკასიაში. ჩვენ ამ საკითხში მოსკოვთან ობიექტურად იდენტური ინტერესები გვაქვს. მოდით, ვითანამშრომლოთ, მაგრამ თანაბარუფლებიანი პარტნიორული პირობებით. აი, თქვენ შეხების წერტილი: ჩვენ რეგიონში სიმშვიდისა და სტაბილურობის მომხრენი ვართ. ჩვენს გვაქვს ისტორიული კავშირები იქაურ ხალხებთან და შეგვიძლია ამის გამოყენება, მაგრამ რუსეთი ადრეც უარყოფდა ასეთ წინადადებებს. მრავალი პრობლემები ამ რეგიონში რუსეთს დაუბრუნდა ბუმერანგად საქართველოში სეპარატიზმის მხარდაჭერის გამო. ვიღაცამ იქ გადაწყვიტა, რომ ძალით შეიძლება დამოუკიდებლობის მიღება. მახსენდება, რომ 2008 წლის იანვარში, როგორც კი მე პარლამენტში საგარეო საქმეთა მინისტრად დამამტკიცეს, მაშინვე დავურეკე ჩემს რუს კოლეგას, სერგეი ლავროვს. ეს იყო საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ინსტრუქცია. მას შევთავაზე ჩაგვეტარებინა ორ ქვეყანას შორის არსებული პრობლემების ინვენტარიზაცია და მოგვეძებნა ნორმალიზაციის გზები. პირველი ზარი იყო მოსკოვში და არა ბრიუსელში, ან ვაშინგტონში. შემდეგ გაიმართა ჩვენი მოადგილეების შეხვედრა, მაგრამ საქმე ამის იქით არ წავიდა.

**— ამ დღეებში საქართველოს მოლდოვის ხელმძღვანელი ეწვია. არის ინფორმაცია, რომ თბილისმა ბელორუსის პრეზიდენტიც მიიწვია. რა დგას ამის უკან?**

— დსთ-ში მხარი არ დაუჭირეს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარებას და ამისთვის მადლობლები ვართ. კიშინოვი და მინსკი მოქმედებენ საერთაშორისო სამართლის შესაბამისად. მოხარული ვარ, რომ ისინი ასე მოიქცნენ და არა სხვაგვარად. რა თქმა უნდა, საქართველო მეგობრული კავშირების განვითარების მომხრეა.

**— ვიდრე საქართველოს ხელისუფლება ფიქრობს განაახლოს თუ არა ურთიერთობები მოსკოვთან, რუსეთის დედაქალაქს ეწვივნენ ცნობილი ოპოზიციონერები — პარლამენტის ყოფილი სპიკერი ნინო ბურჯანაძე და ექსპრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი..**

— ჩვენ თავისუფალი დემოკრატიული ქვეყანა ვართ და ნებისმიერ პოლიტიკოსს შეუძლია კანონის ფარგლებში აკეთოს ყველაფერი რაც მას მოესურვება. განაჩენს კი არჩევნებზე ხალხი გამოიტანს. ადგილობრივმა არჩევნებმა 30 მაისს აჩვენა, რომ ჩვენმა ხალხმა ეს ვიზიტები ცუდად აღიქვა.

**— თქვენ ხელმძღვანელობთ კონსტიტუციის ახალი რედაქციის საზოგადოებრივი განხილვის კომისიას. როდის მიიღებთ მას და რა კომენტარს გააკეთებდით ოპოზიციის ბრალდებასთან დაკავშირებით, რომ ახდენთ მის გადაწერას, აძლევთ უფრო მეტ უფლებამოსილებას პრემიერს, რათა ამ პოსტზე თავისი მოღვაწეობა 2013 წლის შემდეგ, როდესაც უფლებამოსილება ამოეწურება, პრეზიდენტმა სააკაშვილმა გააგრძელოს?**

— კონსტიტუციის ახალი რედაქცია პარლამენტში სექტემბერში შემოვა და, ვიმედოვნებ, მას ოქტომბრის ბოლოსთვის, ნოემბრის დასაწყისში მივიღებთ. ვფიქრობ, რომ ეს იქნება, პოლიტიკური კომპრომისის პროდუქტი. ამიერიდან, მთავრობის ფორმირებას მოახდენს პარლამენტი პრეზიდენტის ჩარევის გარეშე. ორ წელიწადში გაიმართება საპარლამენტო არჩევნები, ვთქვათ, რომ მას მოიგებს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა", მაგრამ აიღებს 49 პროცენტს, ხოლო ოპოზიცია 51 პროცენტს. მაშინ, ოპოზიციის გაერთიანების შემთხვევაში თვითონ შეძლებენ მინისტრთა კაბინეტის დაკომპლექტებას. ე.ი. პრემიერის პოსტის დარეზერვება შეუძლებელია ვინმესთვის. ეს არის არაკეთილსინდისიერი სპეკულაცია. პირიქით იზრდება ოპოზიციური პარტიების როლი, თვით მცირე პარტიების. მთავარია, პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობისა და დეპუტატის მანდატის მიღება.

## ◎ გუშინდელი ფოსტიდან

# ბოზები ბეგარას რომ არ იხდიან, ამით თურმე სახელმწიფო იჩაგრება

ტელეარხი „იმედი" ნამდვილ „ელდად" გადაიქცა. ჯერ იყო და მოდელირებულმა ომმა დაგვცა თავზარი, ახლა კი ყოველ შაბათს გავახოსანაიებული ელდა გვიხეთქავს გულს. ეს დალოცვილი ხან მეტეორიტების თავდასხმაზე გველაპარაკება, ხანაც ვარსკვლავების აფეთქებაზე, ამ შაბათს კი სიძვას მიუძღვნა თავისი რეპორტაჟი, გინდა თუ არა პროსტიტუციის ლეგალიზაცია უნდა მოვახდინოთო. ევროპის ყველა ქვეყანაში ასეა, ჩვენ რატომ უნდა ჩამოვრჩეთ ცივილიზებულ მსოფლიოსო.

თანაც უმეტესად თავის კვერის დამკვრელთ ალაპარაკებდა. ყველაზე მეტად სწორედ ერთ-ერთმა ასეთმა კვერის დამკვრელმა, ვინმე სექსოლოგმა, პროფესორმა არჩილ ბაქრაძემ გამაღიზიანა. ამ ეგრეთ წოდებულმა სექსოლოგმა იმაზე კი არ ილაპარაკა, რამ მიიყვანა ქართველი ქალი ამ სამარცხვინო ნაბიჯამდე — საკუთარი სხეულით ვაჭრობამდე, არამედ კატეგორიულად მოითხოვა, პროსტიტუცია აუცილებლად ლეგალიზებული უნდა გავხადოთო და აუცილებლად ბეგარა უნდა დავადოთო, ვინაიდან „ჩუმი ბოზობიდან" ერთი თეთრიც არ შედის სახელმწიფო ბიუჯეტში და ისედაც არცთუ მდიდარი ჩვენი სახელმწიფო აშკარად იჩაგრებაო...

ნუთუ ამ მხრივაც კიდევ წაქეზება უნდა ჩვენს ისედაც მოძალადე ხელისუფლებას, რომელიც ვითომ ბიუჯეტისა თუ უფრო საკუთარი ჯიბის გასასქელებლად უკვე მეშვიდე წელიწადია, საკუთარი შენობებიდან ყრის მწერლებს, ჟურნალისტებს, მეცნიერებს, მოქალაქეებს, ხოლო ქარხნებისა და ფაბრიკების ნაცვლად სასტუმროებს აშენებინებს უცხოელ ინვესტორებს, რომელ სასტუმროებშიც ჩვენი უმუშევარი ადამიანების მაგივრად ისევ ჩამოყვანილი უცხოლებივე საქმდებიან. პროსტიტუციის ლეგალიზების პირობებში კი, ალბათ, მეძავებსაც უფრო გამოცდილსა და პროფესიონალებს ჩამოიყვანენ ჩვენი „დაჩაგრული" სახელმწიფოს ბიუჯეტის „შესავსებად" და ჩვენს მეძავებსაც გააუმუშევრებენ.

ერთი სიტყვით, ამ ნელ-ნელაობაში სიძვას მწვანე შუქი ენთება და ბოზობა როგორც კერძო, ისე სახელმწიფო შემოსავლის ერთ-ერთი მთავარი წყარო ხდება.

აი, სადამდე მივყავართ ბენდუქიძიზმის ეკონომიკურ პოლიტიკას, რაც ბენდუქიძისავე მენტალური რევოლუციის შემადგენელი ნაწილია და ჩვენი ტრადიციული ქართული მენტალიტეტის ევროპულ-ამერიკულ რელსებზე გადაყვანას გულისხმობს.



ხალხისა და ქვეყნის ხარჯზე ამ უცხოდ გახორცმრავლებული კაცის ფრაზას: საქართველოში ყველაფერი იყიდება სინდისის გარდაო, სწორად თუ წავიკითხავთ, ეს ფრაზა ასეთ სახეს მიიღებს: საქართველოში ყველაფერი იყიდება სინდისთან ერთად.

არადა სინდისი და სიძვა რა კავშირშია ერთმანეთთან, ყველას კარგად მოგეხსენებათ.

**იობი იობაშვილი,**
ექიმი-სექსოპათოლოგი,
ქ. თელავი.

# ერიჰა, ახალ ომზე საუბარი გახშირდა

**ასეთი საუბრები და საეჭვო გამოთქმები ჩვენს მასმედიაში ამ ბოლო დროს რომ საგრძნობლად გახშირდა, ეს, მგონი, ცხადია. მაგალითისთვის გაზეთ „კვირის პალიტრის" აგვისტოს ერთ-ერთ ნომერში მოთავსებული ირაკლი ალადაშვილის რუბრიკაც კმარა.** ბატონი ირაკლი გვმოძღვრავს, რომ ჩვენი სამხედროების მიერ ავღანეთში მიღებული საბრძოლო გამოცდილება არაეფექტურია, რადგან „...ქართული მიწის დასაცავად ძირითადად რუსულ ბომბდამშენებთან, ჯავშანმანქანებთან და არტილერიასთან ბრძოლა მოგვიწევს, რასაც ავღანეთში ქართველ სამხედროებს არავინ ასწავლის". იგი შეშფოთებას გამოთქვამს იმის გამო, რომ ომის შემთხვევაში „მათი (ავღანეთში მყოფი ქართველი სამხედროების — **რ. ტ.**) სასწრაფოდ სამშობლოს დასაცავად დაბრუნება 2 ათას კმ-ის სიშორიდან თითქმის შეუძლებელი იქნება".

რუბრიკის ავტორს ისღა აკლია, რომ მოგვიწოდოს სანგრების გათხრისა და ოჯახში არასწრაფფუჭებადი საკვები პროდუქტების მომარაგებისკენ.

დღეს, როდესაც მწვავე დებატები მიმდინარეობს აგვისტოს ომის მიზეზების დასადგენად, ვიშუშებთ ამ ომით მიყენებულ ჭრილობებს და მწვავე ბრძოლას ვუცხადებთ ჩანასახსაც კი მის გასამეორებლად, ასეთი გამოსვლებით არ უნდა „ვაახლოებდეთ" ამ საშინელებას.

ჩემი მოკრძალებული აზრით, უფრო სწორი იქნება ვილვაწოთ ორ ერთმორწმუნე ერს შორის ურთიერთობის მოწესრიგებისთვის, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს რუსეთის მიერ ჩვენს ტერიტორიაზე სამხედრო ბაზების მშენებლობის შეწყვეტას, ჯარების გაყვანას და სეპარატისტული ქვეყნების დამოუკიდებლობის გაუქმებასაც კი.

იმედს ვიტოვებ, რომ გაზეთი „კვირის პალიტრა" და ნიჭიერი ჟურნალისტი ირაკლი ალადაშვილი ამ ჩემს გამოთქმულ მოსაზრებებს საწყენად არ მიიღებს.

**რევაზ ტყემალაძე,**
საქართველოს დამსახურებული მშენებელი.

№ 157. სამშაბათი, 24 აგვისტო, 2010 წელი.

ექსპერტი

# საქართველოს ხელისუფლების პასიურობის გამო რუსეთის მიერ აფხაზეთის ანექსია შეუქცევი ხდება



*რა ვითარებაა ოკუპირებულ აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში კრემლის მიერ ამ რეგიონების დამოუკიდებლობის აღიარების ორი წლისთავზე, - „ინტერპრესნიუსი“ ექსპერტს კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძეს ესაუბრა.*

**— ბატონო მამუკა, როგორ შეაფასებდით პოლიტიკურ-ეკონომიკურ ვითარებას აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში კრემლის მიერ ამ რეგიონების დამოუკიდებლობის აღიარების ორი წლისთავზე?**

— მდგომარეობა, ზოგადად, ასე შეიძლება შევაფასოთ — ორივეგან სხვადასხვა ფორმით შექმნილია საოკუპაციო რეჟიმის კლასიკური ნიმუში. მიუხედავად იმისა, რომ მოსკოვი-სოხუმისა და მოსკოვი-ცხინვალის ურთიერთობები ფორმალურად ადგილობრივ რეჟიმებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით რეგულირდება, ორივე რეგიონში თავდაცვის თუ უსაფრთხოების მთელი სისტემა რუსი სამხედროებისა და სპეცსამსახურების თანამშრომლების ხელშია. პრაქტიკულად ორივეგან ავიწროებენ და სამუშაოდან ითხოვენ ადგილობრივ სამხედროებსა და სპეცსამსახურის თანამშრომლებს. ეს პროცესი განსაკუთრებით თვალშისაცემია ცხინვალის რეგიონში. მიღებულია გადაწყვეტილება სამხრეთ ოსეთის თავდაცვის სამინიტროს შემცირებისა და სამინისტროს რიცხოვნების 200 კაცამდე დაყვანის შესახებ. იგივე ხდება სამართალდამცავ ორგანოებში, თუმცა — ასე მასობრივად არა. თუ გავითვალისწინებთ, რომ დასაქმების თვალსაზრისით ადგილობრივი მოსახლეობის ახალგაზრდა ნაწილი, ძირითადად, ძალოვან სტრუქტურებში საქმდება, გასაგები იქნება, რომ უმუშევართა რიცხვი ცხინვალის რეგიონში გაიზრდება.

ახლა ცხინვალის რეგიონში რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ჯარების გარდა, „ფე-ეს-ბეს“ ნაწილები დგანან, რომელშიც მესაზღვრეები შედიან, ასევე, იმყოფებიან ჩრდილოეთ ოსეთის სპეციალური დანიშნულების სპეციალისტთა ჯგუფები, რუსეთისა და ჩრდილოეთ კავკასიის საგანგებო სიტუაციათა სამინისტროს წარმომადგენლები. ერთი სიტყვით, სამხრეთ ოსეთში ძალოვანი უწყებების დიდი სიმრავლეა. თავდაცვის სამინიტროს მიერ დეკლარირებულ 3800 კაცს ბევრად აღემატება რუსეთის სხვადასხვა ძალოვანი უწყებების წარმომადგენელთა რაოდენობა. მთელ ამ მასას შენახვა სჭირდება და რუსეთის ბიუჯეტიდან უამრავი ფული იხარჯება, მაგრამ საბოლოო ჯამში სურათი ასეთია — ორივე რეგიონში შექმნილია საოკუპაციო მმართველობის კლასიკური ფორმა, რომელსაც სხვადასხვაგვარად აღიქვამს ორივე რეგიონის მოსახლეობა. აქტიურად მუშაობს ადგილობრივი და რუსული პროპაგანდა, რომელიც კვლავ ქართულ საფრთხეებზე საუბრობს. ამიტომ, მოსახლეობის დიდი ნაწილი დიდ იმედებს ამყარებს რუსეთის სამხედრო კონტინგენტის იქ ყოფნაზე. თუმცა, მოსახლეობის დიდი ნაწილი უკმაყოფილოა სოციალური მდგომარეობით, რომელიც ორივე ამ რესპუბლიკაში რეალურად არსებობს.

საპროექტო ფორმატით ცხინვალში გათვალისწინებული იყო 322 სახლის აღდგენა, მიუხედავად იმისა, რომ ამ რაოდენობის სახლები ცხინვალში ომის დროს არ დანგრეულა, სიაში მოხვდა ისეთი სახლები, რომლებიც მხოლოდ დაზიანდა და მხოლოდ რესტავრაციას მოითხოვს და არა — მშენებლობას. გარდა ამისა, სიაში ისეთი სახლები აღმოჩნდა, რომლებსაც ომთან არავითარი კავშირი არ ჰქონიათ. უბრალოდ, მათ მფლობელებს კარგი ურთიერთობა ჰქონდათ ზემდგომებთან. 322 სახლიდან ნახევარიც არ არის აღდგენილი, ისინიც კი, რომელიც თითქოს აღდგენილია, მათშიც სამუშაოები დასრულებული არ არის. არის სახლები, რომლებიც მაღალი დონის ჩინოვნიკებს ეკუთვნის, არ დაზიანებულა, მაგრამ თავიანთი სახლები დაანგრიეს და სახელმწიფო სახსრებით ახალი სახლები წამოჭიმეს. ამის ნათელი მაგალითია ის, რაც ხდება სოფელ ხეთაგუროვოში, რომელიც ითვლება, რომ ომის დროს განსაკუთრებით დაზიანდა. უნდა ითქვას, რომ ხეთაგუროვო არა ქართულმა მხარემ, არამედ რუსულმა არტილერიამ იმის გამო დააზიანა, რომ ქართულმა ჯარმა ეს სოფელი პრაქტიკულად უბრძოლველად დაიკავა. სოფლიდან მათ გამოსადევნად ხეთაგუროვოს რუსული არტილერია და ავიაცია ერთდროულად ბომბავდა. საინტერესო ისტორიაა ე.წ. მოსკოვის რაიონთან დაკავშირებით, რომლის მშენებლობა მოსკოვის მერიის ფულით დაფინანსდა. ამ რაიონში, რომელიც სოფელ თამარაშენის ნაწილს მოიცავს, სახლების მშენებლობა დასრულებულია, მაგრამ კომუნიკაციები გაყვანილი ჯერ არ არის და მათში არავინ არ ცხოვრობს. ასეთივე ვითარებაა გაზთან დაკავშირებითაც. გაზი ჩრდილოეთ ოსეთიდან უნდა შემოეყვანათ, შარშან გაზსადენი ზარ-ზეიმით გახსნეს, თუმცა სამუშაოები არ დასრულებულა და გაზი სახლების 90%-ში შეყვანილი არ არის. გარდა ამისა, გააფთრებული ბრძოლა მიდის „სამხრეთ დირექციასა“ და კოკოითის ადმინისტრაციას შორის. ე.წ. სამხრეთის დირექცია მოსკოვმა რუსული ფინანსების კონტროლისთვის შექმნა. გამოყოფილი 10 მილიარდიდან ცხინვალმა უკვე მიიღო მილიარდნახევარი, მაგრამ ამ თანხის უდიდესი ნაწილი გამქრალია. კოკოითი მთელი ამ წლების განმავლობაში იბრძოდა, რომ მას ჰქონოდა ამ თანხებზე კონტროლის საშუალება.

**— ინგლისურენოვან გაზეთ Newsweek-ში გამოქვეყნებული სტატიის ავტორმა ანა ნემცოვამ აფხაზეთს „ჯაშუშების რესპუბლიკა“ უწოდა. სტატიაში საუბარია რუსული „კა-გე-ბე“-სა და „ფე-ეს-ბე“-ს ოფიცრების მიერ აფხაზეთში უძრავი ქონებისა და მიწის ნაკვეთების შეძენის შემაშფოთებელ მასშტაბებზე.**

**სტატიაში ნემცოვა ასკვნის — „როცა აფხაზეთში რუსული სპეცსამსახურების მაღალჩინოსნები ამდენ ფულს დებენ, აშშ-ს სახელმწიფო მდივნის ჰილარი კლინტონის მოთხოვნა რეგიონიდან რუსული სამხედროების გაყვანის შესახებ, ცოტა არ იყოს ამაოდ ჟღერს“. რამდენად სამართლიანია ნემცოვას შეფასება?**

— ნემცოვას დაკვირვება აბსოლუტურად სწორია. იმ ხელშეკრულებით, რომელიც მოსკოვსა და სოხუმს შორის სამხედრო თანამშრომლობის შესახებ დაიდო, „ფე-ეს-ბეს“ თანამშრომლებს, კერძოდ მესაზღვრეებს, უფლება აქვთ, სამსახურის დასრულების შემდეგ აფხაზეთში უფასოდ მიიღონ ბინა ან მიწის ნაკვეთები. სწორედ ამის გამოა, რომ მესაზღვრეთა ნაწილების საშტატო რაოდენობა საშინლად გაიბერა. ზოგიერთ ნაწილში თითქმის ერთნაირი რაოდენობით არიან ჯარისკაცები და ოფიცრები. შორეულ გარნიზონებში მომსახურე რუსი მესაზღვრეებისთვის ძალიან მიმზიდველია სუბტროპიკულ აფხაზეთში სამსახური, ვინაიდან შემდეგ მათ აფხაზეთში ცხოვრების საშუალება და უფლება ეძლევათ. აფხაზეთში მოსახვედრად რუსეთის სასაზღვრო სამსახურის ოფიცრები საკმაოდ დიდ თანხებს იმის გამო იხდიან, რომ ბევრმა უკვე მიიღო აფხაზეთში მიწის ნაკვეთი ან ბინა. ეს პროცესი მომავალშიც რომ გაგრძელდება, ეჭვს არ იწვევს.

ჩემი ვარაუდით, ბოლო ორ წელიწადში აფხაზეთმა 15 ათასამდე ახალი მოქალაქე „შეიძინა“. ამაში, ოფიცრების გარდა, მათი ოჯახის წევრებიც შედიან. სხვათა შორის, აფხაზეთში ოფიცრების ჩასახლების დაწყებამ, გარკვეულწილად, შეაჩერა აფხაზეთში კაზაკებისა და ჩრდილოეთ კავკასიიდან მოქალაქეების ჩასახლების გეგმები. მათი ჩასახლება გულრიფშისა და ოჩამჩირის რაიონებში იყო განსაზღვრული.

**— იმავე სტატიაში ანა ნემცოვას მოჰყავს სერგეი ბაღაფშის სიტყვები — „დასავლეთმა უნდა დაივიწყოს ილუზია, რომ ისინი, ვინც, მათი თქმით, რუსი ოკუპანტები არიან, აქაურობას მალე დატოვებენ“. რამდენად საფუძვლიანია ბაღაფშის პროგნოზი?**

— მსოფლიოში ბევრია ისეთი მაგალითი, რომელთანაც ჩვენთან არსებული ვითარების პარალელის გავლება შეიძლება. სახელმწიფომან ჯოუ გოუს დამოუკიდებლობა 28 სახელმწიფომ აღიარა, მაგრამ 28-ვე ქვეყანას მოუწია აღიარების უკან გაწვევა. გერმანია და აღმოსავლეთ ევროპა ოკუპირებული იყო, მაგრამ შემდეგ სსრკ-ს მოუწია მთელი ამ სივრცის დატოვება. შესაბამისი სიტუაციისა და რუსეთზე შესაბამისი ზეწოლის შემთხვევაში ვითარება შეიძლება შეიცვალოს. მაგრამ თუ დღევანდელი გადასახედიდან ობიექტურად შევხედავთ ვითარებას, ისეთი პირი უჩანს, რომ რუსები აფხაზეთიდან წამსვლელები არ არიან. ცარიზმის ეპოქიდან მოყოლებული, რუს პოლიტიკოსთა არაერთი თაობა ოცნებობდა აფხაზეთის ხელში ჩაგდებაზე. იგივე არ შეიძლება ითქვას სამხრეთ ოსეთთან მიმართებაში, მაგრამ აფხაზეთთან დაკავშირებით რომ საქმე სწორედ ასეა, ფაქტია. დღევანდელი გადმოსახედიდან, აფხაზეთის ტერიტორიის დაბრუნების პერსპექტივას ვერ ვხედავ. აფხაზი ხალხის დაბრუნების საშუალებას უფრო ვხედავ, ვიდრე ტერიტორიის დაბრუნების პერსპექტივას.

**— თავის დროზე, მოსკოვმა აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის კონფლიქტები ერთმანეთს ერთი კონტექსტით კი დაუკავშირა, მაგრამ აღიარების ორი წლისთავზე რჩება შთაბეჭდილება, რომ კრემლს სოხუმთან და ცხინვალთან მიმართებაში სხვადასხვა მიდგომა და დამოკიდებულება აქვს. სხვადასხვაობის თვალსაზრისით, რა განსხვავებული გეგმები შეიძლება ჰქონდეს კრემლს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მიმართ?**

— მოსკოვს აფხაზეთის სამხედრო და პოლიტიკური ელიტის დასასვენებელ ადგილად და ნავსაყუდელად გადაქცევა სურს. რუსული გეგმით აფხაზეთი სტრატეგიული პლაცდარმიც უნდა იყოს და — დასვენების სამოთხეც. რაც შეეხება სამხრეთ ოსეთს, მისი დანიშნულება მხოლოდ სამხედრო კრეისერის ფუნქციაა, რომელიც საქართველოს შუაგულშია შეჭრილი და, პრაქტიკულად, მთელ რეგიონს აკონტროლებს. სხვა ფუნქცია სამხრეთ ოსეთს არა აქვს.

**— ალბათ, შემთხვევითი არ იყო რომ, რუსმა სპეციალისტებმა კოკოითს რუსეთის გენპროკურატურაში უჩივლეს?**

— ვითარებაში, როცა მოსკოვში კარგად იციან კოკოითის კორუფციონერობის შესახებ, ჩნდება კითხვა, რატომ ვერ ელევა კრემლი კოკოითს? პირველი და მნიშვნელოვანი ფაქტორია ის, რომ კოკოითი უკვე არის ფიგურა, რომელსაც გარკვეული სტატუსი აქვს მოპოვებული. მიუხედავად იმისა, რომ მისივე ქურდობისა და ყაჩაღობის, ასევე, ეთნოწმენდის მოწყობის გამო კოკოითი მოსკოვისთვის კომფორტული ფიგურა არ არის, რასაც ხშირად ახსენებენ რუსეთის ხელმძღვანელობას დასავლელი პარტნიორები, კოკოითი პოლიტიკური თვალსაზრისით უკვე ცნობადი სახეა. გარდა ამისა, იგი მოსკოვის აბსოლუტური ყურმოჭრილი მონაა, რომელსაც შემდეგშიც შეუძლია იყეფოს.

გარდა ამისა, კოკოითი დამოუკიდებელი ქვეყნის პრეზიდენტად ითვლება და იმის გათვალისწინებით, რომ სამხრეთ ოსეთში გაისად საპრეზიდენტო არჩევნებია, მოსკოვი ქმნის ილუზიას, თითქოს ხელისუფლების ცვლილებაში დემონსტრაციულად ჩარევა არ უნდა. და კიდევ ერთი ფაქტორი, კოკოითი დაპირისპირების ობიექტია კრემლის სხვადასხვა კაბინეტებისთვის.




იხ. 4 გვ.

ალიან-ჩალიანი

## აიღნიშნა ტოტალიტარული რეჟიმების მსხვერპლთა ხსოვნის დღე

**23 აგვისტოს**, საქართველოში პირველად ტოტალიტარული რეჟიმების მსხვერპლთა ხსოვნის დღე აღნიშნეს. თარიღის შემოღების გადაწვეტილება საქართველოს პარალამენტმა დაახლოებით ორი თვის წინათ მიიღო. დადგენილების მიხედვით, ოფიციალური თბილისი ვალდებულებას იღებს გააგრძელოს ტოტალიტარული მემკვიდრეობის შესწავლა, მოხდეს მოსახლეობის ინფორმირება და აღნიშნულის შესახებ შემუშავდეს სასწავლო სახელმძღვანელოები, ასევე ჩატარდეს რიგი ღონისძიებები.

## შაშკინმა დაიბარა, მაგრამ...

**საქართველოში** სასწავლო წელი ყოველწლიურად 15 სექტემბერს დაიწყება და 15 ივნისს დასრულდება, — ამის შესახებ განათლების და მეცნიერების მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა გუშინ გამართულ საგანგებო ბრიფინგზე განაცხადა. მინისტრის თქმით, ის დრო, როდესაც სკოლა თვითონ წყვეტდა, როდის დაეწყო სწავლა და დაესრულებინა, წარსულს ჩაბარდა.

— წლევანდელი წლიდან საჯარო სკოლებში სასწავლო პროცესი 15 სექტემბრიდან დაიწყება, იქნება ორი სემესტრი, პირველი სემესტრი 24 დეკემბერს დამთავრდება, ამის შემდეგ იქნება ზამთრის არდადეგები, რომელიც დასრულება 20 იანვარს, ხოლო მეორე სემესტრი დასრულდება 15 ივნისს, — განაცხადა შაშკინმა.

ამასთან, მინისტრის განმარტებით, პირველი და მე-12 კლასელებისთვის იქნება გამონაკლისი და ისინი სწავლას 20 მაისს დაამთავრებენ.

განათლების სამინისტროს გადაწყვეტილებით ასევე იქნება კიდევ ერთი „მცოცავი არდადეგები“ და სკოლის მოსწავლეები აღდგომისთვის დიდი ხუთშაბათიდან ერთი კვირა დაისვენებენ.

ჯი-ეიჩ-ენი

ექსპერტი

# საქართველოს ხელისუფლების პასიურობის გამო რუსეთის მიერ აფხაზეთის ანექსია შეუქცევი ხდება

(მესამე გვერდიდან)

მთელი ეს სისტემა, რომელიც სამხრეთ დირექტორატის შექმნასა და ვადიმ ბროვცევის პრემიერ-მინისტრად დანიშვნას ითვალისწინებდა, პუტინის პროექტი იყო. უცებ, მედვედევი კოკოითს სოჭში იბარებს, მთელ ამ პროექტს შლის და კოკოითის მოსკოვიდან ცხინვალისთვის გამოყოფილ თანხებზე კონტროლს უბრუნებს. მედვედევი ამით მარტივად ამბობს – რაც პუტინმა გააკეთა არაეფექტური იყო, ახლა მე უფრო ეფექტურ სისტემას შევქმნი.

**— ცნობილია, რომ აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთშიც საზოგადოების უკმაყოფილება დიდია, მაგრამ მოკლევადიან ან გრძელვადიან პერსპექტივაში რისი იმედი შეიძლება გვქონდეს საზოგადოებრი აზრის შეცვლის თვალსაზრისით?**



— უკმაყოფილების დონე ორივე რეგიონში საკმაოდ მაღალია. ცხინვალის რეგიონში უკმაყოფილებაა ადგილობრივი ხელისუფლების, რუსი სამხედრო მოსამსახურეების მოქმედებისა და სხვა სოციალური მიზეზების გამო, მაგრამ როგორც კი მდგომარეობა გაუმჯობესდება, ადგილობრივი ოპოზიცია, ყველა ადგილობრივი მოსახლე რუსეთზე იქნება ორიენტირებული. ოსური საზოგადოების მენტალიტეტი რუსეთის მიმართ არ შეიცვლება. შესაძლოა, მათი დამოკიდებულება ქართველების მიმართ გაცილებით გაუმჯობესდეს, ნოსტალგიურიც კი გახდეს, მაგრამ რუსეთისადმი, როგორც უფროსი ძმისა და მფარველისადმი დამოკიდებულება, არ შეიცვლება. ასე იქნება მიუხედავად იმისა, რომ რუსეთმა რაც უნდა შეავიწროვოს ოსური ენა, კულტურა და გადადგას ნაბიჯები ოსური მენტალიტეტის შესაცვლელად. რეგიონში მცხოვრები მოსახლეობის რუსეთისადმი განწყობა იმის გამო არ შეიცვლება, რომ ასეა მოწყობილი ოსური ეთნოსი.

აფხაზეთის შემთხვევაში სულ სხვა ვითარებაა. მიუხედავად იმისა, რომ აფხაზებისთვის საქართველო მიუღებელია, რუსების მიმართ გაღიზიანება სულ უფრო და უფრო იზრდება. მთელ საბჭოთა პერიოდში აფხაზებს ჩამოუყალიბდათ მენტალიტეტი, რომლის თანახმადაც რუსეთი „მეწველი ძროხაა“. რუსი ეროვნების ქალი მისთვის უნდა იყოს იოლად ხელმისაწვდომი. რუსმა აფხაზეთში ყველაფრისთვის ფული უნდა იხადოს და, იმავდროულად, უნდა იყოს აფხაზებისთვის ქართველების წინაალმდეგ ბრძოლაში ხელისშემწყობი. ახლა ქართველების ფაქტორი მოხსნილია. როდესაც მათი დამოუკიდებლობა რუსეთს აღიარებული არ ჰქონდა, რუსები მათ საშინაო საქმეებში არ ერეოდნენ, მაგრამ დღეს ეს სურათი შეცვლილია. აღიარების შემდეგ რუსეთმა აფხაზეთში მბრძანებლობა უფრო მკვახედ, აგრესიულად და მომხვეჭველურად დაიწყო, ვიდრე ამას ქართველი აკეთებდა. აფხაზი ახლა ხედავს, რომ მისი მფარველი და დამხმარე არავინაა. ასეთი განწყობაა უბრალო აფხაზებში.

რაც შეეხება აფხაზურ პოლიტელიტას, იგი სწორედაც ამიტომ ცდილობს, კულუარულად მეტი მანევრის საშუალება ჰქონდეს და საქართველოს გარეშე დაამყაროს კონტაქტები დასავლეთთან, მაქსიმალურად მოახდინოს რუსეთისაგან დისტანცირება. აფხაზები ხედავენ, რომ პირველი, რასაც რუსები აკეთებენ, ებრძვიან მათ კულტურულ ფესვებს და გენეტიკურ მეხსიერებას და ხვალ ან ზეგ აფხაზეთში აფხაზურად მოლაპარაკე პრაქტიკულად არავინ დარჩება; შესაძლოა, 10-12 წელიწადში აფხაზიც აღარ დარჩეს.

როგორც ვხედავთ, დამოკიდებულება პროცესებისადმი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში სხვადასხვაგვარია, მაგრამ აფხაზებს ძალა არ შესწევთ სიტუაციის შესაცვლელად. დასავლელი დიპლომატები მათ ეუბნებიან, რომ ისინი მზად არიან მათ ფართოდ გაუღონ კარი, აღიარონ მათი დამოუკიდებლობა, ოღონდ ეს უნდა მოხდეს საქართველოსთან შეთანხმებით. ისინი მათ ქართველებთან იმისთვის მუშაობის რეკომენდაციას აძლევენ, რომ საქართველომ აფხაზეთის დამოუკიდებლობა თუ მთლიანად არა, ნაწილობრივ მაინც აღიაროს.

ზოგიერთი ამერიკელი სენატორი, რომელიც დაინტერესებულია ამ რეგიონით, აცხადებს, რომ ისინი დაინტერესებული არიან აფხაზეთში ევროკავშირის ქვეყნების საელჩოების გახსნით, რომ აფხაზეთი აბსოლუტურად ორიენტირებული იყოს დასავლეთზე, აფხაზებმა ევროკავშირის მეშვეობით მოახდინონ რუსებისთვის წინააღმდეგობის გაწევა. მაგრამ იმის გამო, რომ ისინი ანგარიშს უწევენ საქართველოს ხელისუფლებას, იძულებული არიან ჯერ გაჩერდნენ. ისინი ხედავენ, რომ საქართველოს ხელისუფლების პასიურობის გამო, რუსეთის მიერ აფხაზეთის ანექსია, პრაქტიკულად, შეუქცევადი ხდება.

**კობა ბენდელიანი.**

ინფორმაცია

## გვსტუმრობენ ახალგაზრდა ფრანგი პოლიტიკოსები

**თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე ზაალ სამადაშვილი ნიკოლა სარკოზის პარტიის ახალგაზრდული ფრთის წარმომადგენლებს შეხვდა.**

**ზაალ სამადაშვილმა ფრანგ ახალგაზრდებს 30 მაისის თვითმმართველობის არჩევნების და საკრებულოს საქმიანობის შესახებ მიაწოდა ინფორმაცია.**

**— ახალგაზრდა ფრანგი პოლიტიკოსები საქართველოს 10-დღიანი ვიზიტით ესტუმრნენ, რათა ქვეყნის პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი ცხოვრება ახლოს გაიცნონ. ისინი აპირებენ, საფრანგეთში საქართველოს ელჩობის მისია შეასრულონ. ამიტომ ცდილობენ, ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს, შეძლებისდაგვარად, ღრმად გაეცნონ, — აღნიშნა ზაალ სამადაშვილმა.**

**ახალგაზრდა ფრანგი პოლიტიკოსების დელეგაციის ერთ-ერთი წევრის, წარმოშობით ქართველი ნიკოლას პაპიაშვილის განცხადებით, საფრანგეთი საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას მხარს უჭერს და მომავალი თანამშრომლობისთვის მზად არის. ამასთან, იგი მიიჩნევს, რომ აუცილებელია, ევროპამ გააძლიეროს ზეწოლა რუსეთზე, რათა საქართველოდან ოკუპანტების გასვლა უფრო სწრაფად მოხდეს.**

ჯი-ეიჩ-ენი

კავშირგაბმულობა

***იმის მიუხედავად, რომ მობილური სატელეფონო კავშირგაბმულობის მხრივ საქართველო არ არის დიდი ბაზარი, აქ მაინც სამი მსხვილი კომპანია — მაგთიკომი, ჯეოსელი და ბილაინი მოქმედებს, თანაც დიდი წარმატებით. ამას მოწმობს თუნდაც მათი შარშანდელი ერთობლივი შემოსავალი, რომელმაც 800 მილიონ ლარს გადააჭარბა. ჩვენი გაზეთის 11 აგვისტოს ნომრის მასალაში „სამი „ვეშაპის“ ხახაში“ უკვე გვქონდა ლაპარაკი იმის თაობაზე, რომ მწვავე კონკურენციის მიუხედავად, მაშინ, როცა საქმე მომხმარებელთა ხარჯზე საკუთარი მერკანტილური თუ სხვა ინტერესების დაცვაზე მიდგება ხოლმე, ისინი ერთიანი ფრონტით გამოდიან. ასეა ახლაც — მხედველობაში გვაქვს ის, რომ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის გადაწყვეტილებით, მობილური კავშირის ერთი ოპერატორის აბონენტის მეორეში ჩართვის საფასური 14,8 თეთრიდან, რასაც, ცხადია, მომხმარებელს ახდევინებენ, 6,8 თეთრამდე შემცირდა. მაშინ ვთქვით, რომ ეს ამბავი მხოლოდ „ვეშაპების“ ერთმანეთში შიდა ანგარიშსწორების ვიწრო ამქრულ საქმედ დარჩა, სამომხმარებლო ტარიფს კი თეთრიც არ დაკლებია. ყოველივე ამის თაობაზე ზემოთ ნახსენებ მასალაში იყო ნათქვამი, თუმცა, ჩვენი აზრით, მკითხველთათვის ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს ზოგიერთი დამატებითი კომენტარი და ახალი ინფორმაციის გაცნობა.***

# გაიაფება არა, მოხარშული ნაბლი არ გინდათ?!



## სატელეფონო საუბრების ტარიფების გაიაფების ამაო მოლოდინი

დავიწყებთ იმით, რომ წესითა და რიგით, ურთიერთჩართვის ტარიფის შემცირებით, კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში, ალბათ, ეგონათ, რომ მას აბონენტთათვის საცალო ტარიფის დაწევა მოჰყვებოდა, რომელიც, როგორც ადრეც აღვნიშნეთ, საქართველოში მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მაღალია. მაგრამ, საქმე ის არის, რომ კომუნიკაციების მარეგულირებელ კომისიაში სამომხმარებლო ტარიფით შემცირების თაობაზე, რაგინდ ბევრი ჰქონდეთ ნაფიქრალი და შედეგად ვითომ საამისოდ გადაწყვეტილება მიღებული, მის თავკაცთა გარკვეული მოქმედება საპირისპიროს გვაფიქრებინებს, რის შესახებ ქვემოთ ვილაპარაკებთ.

ზემოთ ნახსენებ ჩვენს პუბლიკაციაში აღნიშნული იყო, რომ მაგთი და ჯეოსელი ხელისუფლების საარჩევნო კამპანიების სოლიდური დამფინანსებლები არიან. ამრიგად მისთვის მომხმარებელთა ტარიფის დაკლება და, შესაბამისად, „მეწველთა“ მოგების შემცირება, ვერაფერი ხეირის მომტანია, თანაც მაშინ, როცა ბიუჯეტის შევსებით რამდენიმე მნიშვნელოვანი მიმართულება (მაგალითად, სახელმწიფოს კუთვნილი ქონების პრივატიზებაძ, წლეულს უეჭველად ჩავარდება. ამდენად, სავარაუდოა, რომ სწორედ ამ ორმა მიზეზმა განაპირობა **მობილური კავშირის ოპერატორებისთვის ახალი, საუბრის ყოველ წუთზე 10-პროცენტიანი სააქციზო გადასახადის დაწესება. გამომდინარე იქიდან, რომ სააქციზო გადასახადი მომხმარებლის გადასახდელია, მიმწოდებელს კი ამით არაფერი აკლდება, უბრალოდ, საქონლისა თუ მომსახურების ფასი იზრდება.**

**ისევ მომხმარებლის ჯიბიდან მეტი სახსრების ამოქაჩვაზე მთავრობის ამ, ასე ვთქვათ, „ფინანსურ დაწიხლვას“, კომუნიკაციების მარეგულირებელმა კომისიამ თავისი „მუჯლუგუნიც“ მიაყოლა და კომუნიკაციების სფეროს კომპანიებს, მათ შორის მობილური კავშირის ოპერატორებს, რომლებიც მის ბიუჯეტს 6ნ პროცენტით ავსებენ, „ხარკი“ კიდევ... სანახევროდ გაუვიანთი შემოსავლის 0,5 პროცენტის ნაცვლად უკვე 0,75 პროცენტს გადაურიცხავენ.**

დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ბატონებო, ამ ფულსაც ჩვენ „აგვახევენ“! თანაც, როგორც ჩანს, მობილური კავშირის ოპერატორები საკუთარი ხარჯის შემცირებას შიდა რეზერვების ოპტიმიზაციით ცდილობენ და, იმის მიუხედავად, რომ საჯაროდ ამას არავინ აცხადებს, **ზარდა (?!).** აქვე იმასაც ვიტყვით, რომ ამ ნაბიჯის ერთი შედეგიც, ალბათ, ის იქნება, რომ ქვეყნის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის ყოველთვიურ შემოსავალთან შედარებით მარეგულირებელი კომისიის რიგით თანამშრომლებს (იქაურ „ყოჩებზე“ აღარაფერს ვამბობთ!ძ – ხელფასები კიდევ უფრო მოემატებათ! **ამრიგად, ათიოდე დღეში მობილური კავშირის ოპერატორები კომისიას თა-**

მაგალითად, მაგთიკომის თანამშრომლებს ხელფასები 10-15 პროცენტით შეუმცირეს, ბევრიც საერთოდ დაითხოვეს. ამის მიზეზი, შესაძლოა ისიც იყოს, რომ აბონენტთა რიცხოვნობის მიხედვით კომპანიამ პირველობა ჯეოსელს დაუთმო – მაგთიმ ბოლო ხანებში დაახლოებით 79 ათასი აბონენტი დაკარგა.

კომპანიები, ბუნებრივია, ცდილობენ მომხმარებლის მიზიდვას მომსახურების ახალ-ახალი შეღავათიანი პაკეტების შეთავაზებით, რასაც მაგთის ახალი აქციაც მოწმობს, რომელიც 23 აგვისტოს იწყება: ის ახალი პაკეტის მფლობელებისთვის ქსელის შიგნით საუბრის საფასურად წუთში 5 თეთრის გადახდას ითვალისწინებს, სხვა ოპერატორების აბონენტებთან საუბრისას კი – წუთში 18 თეთრს. თუმცა ეს არ იქნება მუდმივი შეთავაზება, მას გარკვეული ვადა აქვს, რომლის დასრულების შემდეგ აბონენტი ისევ ძველ ტარიფს დაუბრუნდება.

დაახლოებით ამ მიმართულებით მოქმედებს ბილაინიც, რომლის მომსახურების ახალი პაკეტის „ფრეშის“ მომხმარებლები ნებისმიერი ოპერატორის აბონენტებთან დღეში ორწუთიანი ლაპარაკის შემდეგ, ყოველ მომდევნო წუთში მხოლოდ 9 თეთრის საფასურად ილაპარაკებენ, ხოლო პირველი ორი წუთის ღირებულება ძველებურად 18 თეთრი იქნება.

ამდენად, მარკ ტვენის ცნობილი თქმის პერიფრაზირებას თუ მივმართავთ, მოარული ხმები იმის თაობაზე, რომ აგვისტო-სექტემბერში საქართველოში მობილური სატელეფონო კავშირის საფასური გაიაფდებოდა, აშკარად გაზვიადებულია და, რამდენადაც გამოცდილება გვკარნახობს, სავარაუდოა, რომ ამას არც ახლო მომავალში უნდა ველოდოთ.

**ოთარ ტურაბელიძე**

სოციალური ფსიქოლოგია

***თბილისის ტექნიკურმა უნივერსიტეტმა გამოსცა რ. გაფრინდაშვილისა და მ. ბანძელაძის ბროშურა „სოციალური ფსიქოლოგია“, რომელშიც ჩვენი ყურადღება მიიპყრო კონფლიქტებისა და მისი გადაჭრის გზების პრობლემამ. გთავაზობთ ავტორთა მიერ გამოთქმულ მეტად მნიშვნელოვან მოსაზრებებს რამდენიმე ჩვენეული კომენტარით: კონფლიქტები და მათი დაძლევა ხომ ყოველთვის იყო და იქნება მეტად აქტუალური ჩვენი ყოველდღიურობისა თუ სახელმწიფო ურთიერთობებისთვის.***

# როგორ გადავჭრათ კონფლიქტები?

## რამდენიმე მოსაზრება ერთ საყურადღებო ნაშრომთან დაკავშირებით

განასხვავებენ პიროვნებათაშორის, ჯგუფთაშორის და საერთაშორისო კონფლიქტებს, რასაც ავტორები, სრულიად სამართლიანად, ადამიანთა ვიწროეგოისტური მისწრაფებებით ხსნიან. ეს კონფლიქტები თვით ამ მისწრაფებებს (მოთხოვნილებებსძ აზარალებენ. ამის გამო ჩნდება პირადი და მთელი საზოგადოების კეთილდღეობის ურთიერთშეთავსებადობის დილემა. მის შესასწავლად ფსიქოლოგებმა კონფლიქტის ამსახველი ლაბორატორიული თამაშები გამოიყენეს, რომელთა საფუძველზეც დაასკვნეს, რომ **მოუთოკავი, ეგოისტური მისწრაფებები** ხშირად ყველასთვის დამღუპველი შედეგებით მთავრდება. ცხადია, ომებიც ეგოისტური მისწრაფებებით არის განპირობებული და ადამიანის თავის ტვინში არსებული „ჯოჯოხეთის“ უზნის გამონაშუქია. ამის მაგალითად დევიდ მაიერსს ქვეყნის შეიარაღებისას აშშ-სა და სსრკ-ს პაექრობა მოჰყავს, რასაც 1945 წლის შემდეგ ჰქონდა ადგილი (დღესაც ასეთი „შეჯიბრი“ კიდევ უფრო ინტენსიურია მთელ მსოფლიოშიძ, იმის მიუხედავად, რომ ორივე მხარემ მშვენივრად იცოდა: ყოველი სამხედრო გემი, რაკეტა, ქვემეხი, ტანკი და ა. შ. მშიერთათვის და შიშველთათვის წართმეულ ფულს, მუშათა ოფლს, მეცნიერთა ნიჭსა და ბავშვების დაკარგულ იმედს ნიშნავდა...

ახლა ავიღოთ ჩვენი სოციალური გარემო და ადამიანებს შორის თანამშრომლობის მაგალითი, რაც უთუოდ იმსახურებს დიდ ყურადღებას და სათანდო კორექტივებს. თანამშრომლობა უნდა იყოს მყარი გარანტიებით, ურთიერთშეთანხმებით, სამართლიანობის დაცვით და სათანადო ანაზღაურებით. ვინც უპიროზო თანამშრომლობის სტრატეგია გამოიყენა, ექსპლუატაციის მსხვერპლი გახდა. ასეთ სიტუაციაში თავს იჩენს აგრესია, ურთიერთუნდობლობა, რაც შესაძლოა, სრული დეზორგანიზაციით დასრულდეს.

ხშირად აგრესია და კონფლიქტი აღმოცენდება იქ, სადაც უსამართლობა სუფევს, სადაც ადამიანები თავს გრძნობენ შეურაცხყოფილად, ექსპლოატირებულად და „თვალის დახუჭვის“, ინდიფერენტულობის ატმოსფერო მეფობს რაღაც შიშის გამო: „Homo homini Lupus est“, — ამბობს ლათინური ანდაზა — ადამიანი ადამიანისთვის მგელიაო. და თუ სადმე დღესაც არსებობენ ცხვრის ტყავში გახვეული მგლები, ისინი დიდ ზიანს მოუტანენ არა მხოლოდ თანამედროვე ადამიანებს, არამედ მომავალ თაობებსაც.

თანამედროვე საზოგადოებაში უსამართლობის განცდა კონფლიქტების ხშირი მიზეზია. ახლა უსამართლობა შენიღბული სახით გვევლინება, სადაც „კულტურული“ მიდგომები და ქცევები ჭარბობს. ზოგიერთი თეორეტიკოსის მიხედვით, წინა პლანზეა **დამსახურებისა** (წვლილისძ და **საზღაურის დისჰარმონია.** ეს კი, საერთოდ, პოლიტიკის შედეგია. როგორც უცხოური ან „მამამთავრები“ ადამიანთა დამსახურებისა და საზღაურის საკითხს, ისევე აკეთებს ამას „წვრილფეხობა“ ყოველდღიურ ცხოვრებაში. ადამიანებს შორის რაიმე ურთიერთობა მაშინაა დაბალანსებული, როცა მისი შრომა შეესაბამება საზღაურს. თუ ეს ბალანსი დაირღვა, ანუ თუ მცირე წვლილისთვის სხვა მეტს იღებს, ადამიანი თავს შეურაცხყოფილად გრძნობს.

ჩვენ ადვილად შეგვიძლია სამართლიან ბალანსზე შევთანხმდეთ, მაგრამ საქმე ის არის, რომ შესაბამისი წვლილი (საქმიანობაძ ყველას სხვადასხვანაირად ესმის. უფროს კოლეგას მიაჩნია, რომ თავად მეტს იმსახურებს პროფესიონალიზმისა და გამოცდილების გამო (ან ფეოდალური აზროვნებიდან გამომდინარე: იგი „ფეოდალია“, დანარჩენები კი — მისი „მონები“ძ. უმცროსი კი თავის სასარგებლოდ სჯის: „ამინაზღაურე იმდენი, რამდენიც მეკუთვნის“. ასეთ დროს იმისი აზრი გაიმარჯვებს, ვისაც მაღალი სტატუსი აქვს. იგი თვითონაც დარწმუნებულია და სხვებსაც ადვილად არწმუნებს, რომ თავად მეტს იმსახურებს, „წესებს ის ადგენს, ვისაც ოქრო აქვს“, ანუ შემოსავლის განაწილების არსებული წესის გამო ექსპლუატატორს დანაშაულის გრძნობა არა აქვს.

როგორ რეაგირებენ მასზე ექსპლუატირებულები?

სოციალ-ფსიქოლოგები სამ შესაძლო ვარიანტს განიხილავენ:

**1)** იმათ შემოსავლის განაწილების არსებული წესი სამართლიანად მიაჩნიათ. თვალს ხუჭავენ უსამართლობაზე რაღაც შიშის გამო, ან „ბრმა პლუტოსის“ მიმდევრები არიან (ბერძნებმა სიმდიდრის ღმერთი პლუტოსი ბრმად გამოსახეს, რადგან იგი სიმდიდრეს არასამართლიანად ანაწილებდა — **მ.მ.**ძ.

**2)** კომპენსაციას ითხოვენ, ექსპლუატატორს „ნამუსზე აგდებენ“ ან სულაც ატყუებენ.

**3)** სამართლიანობის აღდგენას შურისძიებით ცდილობენ, ზოგჯერ სასამართლოს მიმართავენ.

ჩვენ იმის მომხრე ვართ, რომ მხარეებს შორის დავა გადაწყდეს ცივილიზებული წესით — მოლაპარაკების გზით, გარკვეული პირობების გათვალისწინებით, ყოველგვარი ეგოისტური ქვეგრძნობებისა და დაშინების გამორიცხვით.

ექსპერიმენტებით დადგინდა, რომ ადამიანებს რაც უფრო კომპეტენტურად და სასარგებლოდ მიაჩნიათ საკუთარი თავი (ე. ი. თავიანთ თავს მაღალ შეფასებას აძლევენძ, მით უფრო მძაფრად განიცდიან უსამართლო განაწილებას, და კომპენსაციის მიღების სურვილს გამოხატავენ.

წვლილისა და ანაზღაურების ბალანსი სამართლიანობის აღდგენის ერთადერთი პირობა არ არის. დასავლეთის კაპიტალისტური ქვეყნების „ბალანსის თეორიის“ მომხრეებს ტყუილად მიაჩნიათ, რომ ამ ქვეყნების ეკონომიკური პრინციპები უნივერსალურია.

**იაპონიაში, რომელიც კოლექტივისტური კულტურის ტიპიურ ქვეყნადაა მიჩნეული, შრომის ანაზღაურებისას მუშაკის ხანდაზმულობას უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ვიდრე შრომის ნაყოფიერებას.**

**სოციოლოგიურმა გამოკითხვებმა უჩვენა, რომ აშშ-ში, სადაც ინდივიდუალური კულტურა მეფობს, შრომის მწარმოებლობის მომხრეა გამოკითხულთა 53 პროცენტი, ბრიტანეთში — 32 პროცენტი, ესპანეთში — 26 პროცენტი. გარანტირებული ხელფასის მომხრეა ამერიკელთა 39 პროცენტი, კანადელთა 48 პროცენტი, ბრიტანელთა 65 პროცენტი.**

თვით ინდივიდუალურ კულტურაშიც კი ხანდახან განაწილების სხვა კრიტერიუმები მიაჩნიათ სამართლიანად. მაგალითად: ოჯახში ან ალტრუისტულ ორგანიზაციებში ეს კრიტერიუმები შეიძლება იყოს 

**მოთხოვნილება,** მეგობრულ ურთიერთობებში — **გათანაბრება,** კონკურენციის პირობებში კი ყველაფერი გამარჯვებულს მიაქვს.

როგორც დევიდ მაიერსი აღნიშნავს, წვლილისა და ანაზღაურების სამართლიანი რეცეპტის შემოთავაზებისაგან თავის შეკავება სჯობს. ავტორი მხოლოდ სოციოლოგიური გამოკითხვების შედეგების და ზოგიერთი ფილოსოფიური მოსაზრების დამოწმებით კმაყოფილდება. მაგალითად, ფილოსოფოს ჯონ რიზლის აზრით, სამართლიანი განაწილების პრინციპს მაშინ მივაგნებთ, თუ „ეკონომიკურ კიბეზე“ საკუთარი მდგომარეობა ჩვენთვის უცნობი იქნება, ანუ მომავალში თავს არც ეკონომიკურად უზრუნველყოფილად დავიგულებთ და არც მომავლის შიშით ვიქნებით სასოწარკვეთილები.

გრეგორ მიტჩელი და მისი კოლეგები გვაცნობენ აშშ-ის უნივერსიტეტის სტუდენტების მოსაზრებებს, რომელთა აზრითაც შრომის სამართლიანი ანაზღაურებისას უპირატესობა **გათანაბრებას** უნდა მიენიჭოს, რათა საარსებო მინიმუმი გარანტირებული იყოს. მაგრამ ზოგჯერ პრემიებიც, წახალისებებიც უნდა გამოვიყენოთ, რათა ამაღლდეს შრომის ნაყოფიერება.

ჩვენ ჩავატარეთ გამოკითხვა ქართველ სტუდენტებს შორის სამედიცინო ფსიქოლოგიის ფაკულტეტებზე ერთადერთი შეკითხვით: როგორ უნდა ანაზღაურდეს შრომა? სტუდენტთა უმრავლესობა მომხრეა, რომ შრომა ანაზღაურდეს ცოდნისა და გამოცდილების, დახარჯული ენერგიისა და შრომის ნაყოფიერების მიხედვით. მაგალითად, თუ ლექტორი ლექციების მომზადება-გადმოცემისას დღე-ღამეში ხარჯავს 3500 კალორიას, მას უნდა მიეცეს ამ ენერგიის შესაბამისი ანაზღაურება და არა საარსებო მინიმუმზე 8-10-ჯერ ნაკლები, რაც ადამიანის ერთ-ერთი მთავარი ფენომენის — ჯანმრთელობის ხელყოფაა.

ასეთი საკითხების უცოდინრობა შეიძლება გახდეს მძაფრი კონფლიქტური სიტუაციების მიზეზი. გარემოებათა არასწორი აღქმა, ამბიციურობა, „მონური ფსიქიკა“, ცოდნის დაბალი დონე, მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების უთანაბრობა, უსამართლობის დამკვიდრების მცდელობა, — ეს ერთი ჯაჭვის რგოლებია, რასაც კონფლიქტი და მისი გამომწვევი მიზეზები შეიძლება ვუწოდოთ.

ამრიგად, როცა ადამიანი, ჯგუფი ან ქვეყნები ურთიერთობენ, ისინი საკუთარმა მოთხოვნილებებმა შეიძლება კონფლიქტამდე მიიყვანოს, განსაკუთრებით მაშინ, როცა საკუთარ ეგოისტურ ინტერესებს სხვის საზიანოდ იკმაყოფილებენ. ამ „ხაფანგის“ თავიდან ასაშორებლად სოციალ-ფსიქოლოგები კვლავ ეგოისტური ქცევების მარეგულირებელი წესების შემოღებას, კომუნიკაციების გაუმჯობესებას, უნდობლობის შემცირებას, თანამშრომლობასა და ალტრუისტულ ქცევებზე აპელირებას გვთავაზობენ.

* * *

### როგორ, რა გზით?..

ჩვენი აზრი ამ საკითხის ირგვლივ ასეთია: კონფლიქტები რომ დავძლიოთ, ამისთვის საჭიროა გონივრული ურთიერთთანამშრომლობა, კონტაქტები, კეთილი და სამართლიანი დამოკიდებულება ადამიანებთან და სხვისი ინტერესების გათვალისწინება. **„თვით მასზედვე მტკიცედ დარჩე, რასაც სხვებზე ქადაგებდე“** — ამბობს ს. გუგუნავა ბრწყინვალე ნაწარმოებში „თამარიანი“.

თუ გავითვალისწინებთ ოპონენტის ინტერესებს, ეს წარმატების მომტანი იქნება ორივე მხარისთვის. სოციალური ბარიერები მაშინ იმსხვრევა, როცა ვინმესთან ერთად რაიმეს ვაკეთებთ და არ ვთაღლითობთ. საერთო კონფლიქტური მიზეზების გაანალიზება-დაძლევა მაშინ მოხდება, როცა მხარეები ობიექტურად თანხვდებიან კონფლიქტის მოწესრიგების საკითხში და როცა ერთად იბრძვიან საერთო საფრთხის წინაალმდეგ. ასეთ ვითარებაში კონფლიქტი იოლად აღმოიფხვრება. თუ მხარეებმა ერთმანეთის დადანაშაულება დაიწყეს, კონფლიქტი უფრო მწვავდება და უმართავი ხდება. დაპირისპირება არ უნდა ემსახურებოდეს მოგება-წაგებას. ყველაფერი უნდა გადაწყდეს მოლაპარაკების გზით!

თუ კონფლიქტს „ზვავის ეფექტი“ აქვს, როცა ახალ-ახალი სუბკონფლიქტები იჩენენ თავს, ასეთი სიტუაციის დროს დიდი სიფრთხილე და წინდახედულობაა საჭირო. ობიექტური ადამიანები ყოველგვარ კონფლიქტს უფრო იოლად გადაჭრიან, ვიდრე არაკომპეტენტური უმეცრები, რომელთაც ახასიათებთ სიჯიუტე, რის გამოც გამოსავალს ვერ ხედავენ კონფლიქტების მოწესრიგებისთვის.

რადგან კონფლიქტები მოვლენების ილუზორულ აღქმას შეიცავს, მონაწილე მხარეებს დიდი ძალისხმევა სჭირდებათ, რათა კარგად გაერკვნენ ამ სოციალური დილემის ნიუანსებში, **გააცნობიერონ არაცნობიერი და რაციონალური აზროვნებით და ლოგიკური მსჯელობით გამოიტანონ საჭირო დასკვნა.** ეს მოხდება მაშინ, როცა ადამიანები ექსტრაორდინალური მიზნებისთვის იბრძოლებენ და არა მხოლოდ პირადი ინტერესების დასაკმაყოფილებლად.

როცა ერთ-ერთ მხარესთან კომუნიკაცია შეუძლებელია, საქმეს წყვეტს სამედიატორო სასამართლო, რომელიც აიძულებს ამ უკომუნიკაციო და უსამართლო მხარეს სწორი ნაბიჯის გადადგმისკენ.

ასეთია კონფლიქტების მოგვარების ფსიქოლოგიურ-იურიდიული ფაქტორები.

**რაც შეეხება სახელმწიფოთაშორის კონფლიქტებს, ამ საკითხს საერთაშორისო სამართლის ნორმებით უნდა მივუდგეთ და გავაანალიზოთ, რაც ცალკე განხილვის საგანია.**

**მამია მდინარაძე,**
პროფესორი

გულის ბუხარი

# პირადი მაგალითის ძალა

**ადამიანებზე გავლენის მოპოვებისთვის, ხალხში პოპულარობისთვის პირად მაგალითს უდიდესი მნიშვნელობა აქვს, განსაკუთრებით საომარი მოქმედების დროს. ეს ძალიან კარგად იცოდნენ დიდმა მხედართმთავრებმა, სახელმწიფოს მეთაურებმა და ყოველთვის ანგარიშს უწევდნენ ამ ფაქტორს.**

საყოველთაოდ ცნობილია, თუ როგორ გადააქცია ალექსანდრე მაკედონელმა გაუსაძლის სიცხეში სასმელი წყლის უქონლობით დაუძლურებული ჯარისკაცების თვალწინ მისთვის მირთმეული წყალი.

შვედეთის მეფე გუსტავ II ადოლფს საომარი მოქმედებების დროს ეძინა მიწაზე როგორც ჩვეულებრივ ჯარისკაცს, სადილობდა საერთო ქვაბიდან, ხშირად ჯარისკაცებთან ერთად პირველ მწკრივში მარშირებდა.

ნაპოლეონმა იცოდა ჯარისკაცებთან ლაპარაკი, ის ცდილობდა მათთვის დარჩენილიყო ძველებურად „პატარა კაპრალი“ (ასე ეძახდნენ სასიყვარულოდ ნაპოლეონს ჯარისკაცები), რომელიც მათთან ერთად ბრძოლებში თავდაუხრელი იდგა ტყვიებისა და ყუმბარების წვიმაში, მათთან ერთად ქანცგაწყვეტილი მიაბიჯებდა ევროპის ქვეყნების ტალახიან გზებზე და ზოგჯერ უკანასკნელი „ბომჟივით“ იგინებოდა კიდეც.

სირიიდან უკან დახევისას ნაპოლეონმა ბრძანა, ცხენებით დაჭრილები წამოეყვანათ, გენერლები და ოფიცრები კი, უბრალო ჯარისკაცებივით, ფეხით უნდა წამოსულიყვნენ. თვითონ პირადად ჩაუდგა ჯარს სათავეში და მას წინ ფეხით მიუძღვებოდა.

საბჭოთა ჯარისკაცებისა და მოსახლეობის მორალური სიმტკიცისთვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ი. სტალინის მოსკოვში ყოფნას იმ დროს, როდესაც შეიძლებოდა დედაქალაქი გერმანელთა ხელში აღმოჩენილიყო.

ასეთი მაგალითებით მდიდარია მსოფლიო ისტორია. ასეთ მოღვაწეებს არაერთი ნაწარმოები მიუძღვნეს ცნობილმა მწერლებმა, პოეტებმა, ხელოვნების სხვადასხვა დარგის წარმომადგენლებმა. დემეტრე თავდადებულის, ცოტნე დადიანის, ქეთევან წამებულისა და სხვა მოწამეთა საქმეები დღესაც აღაფრთოვანებს ქართველ ხელოვანებს. ამავე დროს, სახელმწიფოს მშიშარა და უუნარო ხელმძღვანელებს ყოველთვის, ყველა ეპოქაში, დასცინოდნენ და მასხრად იგდებდნენ. „Под Австерлицом он бежал, в двенадцатом году дрожал“ — ასე წერდა ა. პუშკინი ალექსანდრე I შესახებ, რომელსაც ნაპოლეონის მიერ მოსკოვის დაკავების შემდეგ კაპიტულაციაზე უნდოდა ხელის მოწერა, მაგრამ ამ დროს მასთან მყოფმა მარშალმა ბურნადოტმა და გენერალ-ფელდმარშალმა ბლიუხერმა ამ განზრახვაზე ხელი აალებინეს. სამხედროებმა კარგად იცოდნენ, თუ რა სიძნელეებთან ექნებოდა საქმე უძლეველ იმპერატორს.

**დასკვნა: სახელმწიფოს მეთაური ყოველთვის უნდა ფიქრობდეს იმაზე, „რას იტყვის მასზე შთამომავლობა“.**

**ვაჟა თვალავაძე**

SIC!

# საარქივო ანომალია

**ახლახან მასმედიის საშუალებით შევიტყვეთ, რომ საქართველოს სახელმწიფო არქივიდან უნიკალური წიგნები მოუპარავთ. მართლაც, რომ არასასიამოვნო ფაქტია. არქივში დაცული უძველესი ხელნაწერები და უნიკალური წიგნები, ჩვენი ისტორიის სათუთად მოსავლელი ისტორიული დოკუმენტებია. არქივში მომხდარმა ამ არასასიამოვნო ფაქტმა გამახსენა ამავე დაწესებულებაში თითქმის 50 წლის წინათ მომხდარი ამბავი, რომლის შესახებაც მაშინ არავის ხმა არ ამოუღია. არადა, მაშინდელი არქივის ხელმძღვანელობამ დიდძალი საარქივო დოკუმენტები გადასცა მოსკოვსა და ერევანს!**



ახლა იმის შესახებ მოგითხრობთ, თუ როგორი ბატონპატრონი ვიყავით ჩვენი კუთვნილი არქივისა, როგორ ვუვლიდით, ვპატრონობდით, ვამდიდრებდით თუ ვაღარიბებდით მას. ვისაც მეოცე საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში თბილისში, ვერაზე არსებულ ისტორიული არქივის ფონდებზე უმუშავია, აუცილებლად დამიდასტურებს, რომ იგი წარმოადგენდა მკვლევართა დიდ საკრებულოს, სადაც თავს იყრიდნენ მოსკოველი, პეტერბურგელი, კიეველი, ბაქოელი, ერევნელი, გროზნოელი, მახაჭკალელი, ნალჩიკელი, მოზდოკელი და, ვინ იცის, კიდევ რამდენი ქალაქის და რამდენი ეროვნების წარმომადგენელი. მათი მიზანი იყო შეესწავლათ ის დიდძალი საარქივო მასალა, რუსეთის მიერ კავკასიის დაპყრობას რომ შეეხებოდა. რუსეთის მიერ კავკასიის დაპყრობის დაწყებიდან, ყველა ხასიათის დოკუმენტი თბილისში იყრიდა თავს. მაშინ თბილისი ხომ ამიერკავკასიის ადმინისტრაციული, პოლიტიკური და ეკონომიკური ცენტრი იყო. კავკასიის ომებთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტები 1962 წლამდე, დაცული იყო საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო ისტორიულ არქივში. 1962 წელს არქივის მაშინდელი ხელმძღვანელობის უნიათობის შედეგად, ეს ჩვენთვის მეტად ღირებული, უტყუარი საბუთები, მოსკოვში სამხედრო ისტორიული არქივის საცავებში აღმოჩნდა — იქ, სადაც ჩვეულებრივ მკვლევარს, მასალაზე ხელი აღარ მიუწვდება.

როდესაც არქივში აღნიშნული დოკუმენტების მოსკოვში გადატანა გაჟღერდა, იქაურმა თანამშრომელმა, ქალბატონებმა ქრისტინემ და ქსენიამ (გვარებს ვერ ვიხსენებ) საგანგაშო ზარი შემოკრეს. საქმეში აქტიურად ჩაერთვნენ ცნობილი ისტორიკოსები სარგის კაკაბაძე და შოთა ხანთაძე. ორივე მათგანი სასტიკი წინააღმდეგი იყო საარქივო დოკუმენტების მოსკოვში გადატანისა. არქივის დირექციამ მათი მოთხოვნა ყურად არ იღო. მაშინ იმათ პრინციპულად მოითხოვეს: ჯერ მოეხდინათ საარქივო დოკუმენტების ფოტო-ასლების გადაღება და მხოლოდ ამის შემდეგ გადაეგზავნათ მოსკოვში. საამისოდ ისინი არქივის ფოტოგრაფს მჯოიანს შეუთანხმდნენ. მან თანხმობა განაცახადა და ფოტოასლების გადაღებისთვის სამი კვირა დრო ითხოვა. სამწუხაროდ, არქივის დირექციამ ამ მოთხოვნაზეც ცივი უარი თქვა, რამდენიმე დღეში საარქივო დოკუმენტები მოსკოვში ჩუმად თვითმფრინავით გადააგზავნეს. იმავე დროს საქართველოს სახელმწიფო არქივის დირექციამ გაასხვისა ჩვენთან დაცული სომხური ხელნაწერები და იგი ერევანს გადასცა.

მაშინ ამაზე არავითარი რეაგირება არ გაუკეთებია საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, რომლის დაქვემდებარებაშიც საარქივო სამმართველო იყო. არც საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს შეუბერტყავს ყური.

მოსკოვში გასხვისებული საარქივო დოკუმენტები დღეს რომ ჩვენთან, არქივში ინახებოდეს, მერწმუნეთ, მრავალ ისტორიულ ფაქტს და მოვლენას სხვა თვალით შევხედავდით და გავაანალიზებდით და არა ისე, როგორც ეს ხდებოდა საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში.

**დურმიშხან ცინცაძე**

დაიჯესტი

## გაცურვა 17,5 საათის განმავლობაში



ავსტრალიელი სიუ ილდჰემი გახდა ყველაზე ხანდაზმული ქალი, რომელმაც ლა-მანში გადაცურა. ინგლისის დუვრიდან საფრანგეთის კალემდე 64 წლის სპორტსმენმა ქალმა გადაცურა 17 საათის, 31 წუთისა და 11 წამის განმავლობაში.

ლა-მანშის გადაცურვის ტრადიცია დიდ ბრიტანეთში გაჩნდა XIX საუკუნის ბოლოს. მას შემდეგ ექსტრემალური ცურვის მოყვარულები პლანეტის ყველა კუთხიდან ყოველწლიურად ჩადიან დუვრში, რომ თავიანთი გამძლეობისა და ფიზიკური მომზადების წყალობით შეიტანონ თავიანთი სახელი ისტორიაში.

## ცილა – ნიშანმდებელი

ადამიანის ზურგის ტვინის სითხის გამოკვლევა იძლევა საშუალებას წინასწარ გამოვავლინოთ ალცჰეიმერის დაავადებისადმი მიდრეკილება, აგრეთვე 90 პროცენტის სიზუსტით განვსაზღვროთ მისი განვითარების რისკი მათში, ვისაც აქვს მეხსიერების დარღვევები. ასე მიაჩნიათ ბელგიელ მეცნიერებს, რომლებმაც გამოიკვლიეს თითქმის 400 ხანდაზმული ადამიანი, რომელთა შორისაც ასზე მეტს აწუხებდა ალცჰეიმერის დაავადება.



მეცნიერებს აინტერესებდათ ორგანიზმში ცილების შემადგენლობა, რომლებიც თავის ტვინში ქმნიან ნეიროფიბრულ ხლართებს, რაც ალცჰეიმერის დაავადების განვითარების შესახებ მოწმობს. „ამ ცილების რაოდენობის მკვეთრი ზრდა სამჯერ ნორმასთან შედარებით მეტყველებს იმის შესახებ, რომ ვითარდება პათოლოგია“, — განმარტავენ მეცნიერები.

დღეს მსოფლიოში ალცჰეიმერის დაავადება აწუხებს დაახლოებით 26 მილიონ კაცს.

## ხანძრები და კლიმატი

ტყის ხანძრებმა რუსეთში შეიძლება გამოიწვიოს კლიმატის გლობალური შეცვლა. ასეთი დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ სამეცნიერო მოხსენებიდან, რომელიც მოამზადეს შვედეთის ეკოლოგებმა. მოხსენებაში განზოგადებულია 50-ზე მეტი სამეცნიერო გამოკვლევის შედეგები.



მოხსენების ავტორთა აზრით, ხანძრების რიცხვის ზრდასა და კლიმატის ცვლილებას შორის არის ორმხრივი მიზეზ-შედეგობრივი კავშირი. ატმოსფეროში ხანძრის შედეგად $CO_2$-ის კონცენტრაციის გაზრდა იწვევს „სიცხის ტალღების“ რიცხვისა და ხანგრძლივობის ზრდას, რომლებიც თავის მხრივ ხელს უწყობენ ხანძრების რიცხვის ზრდას.

კლიმატზე გავლენას ახდენს ტორფის ხანძრებიც. „ტორფის ჭაობები — ეს ნახშირბადის ბუნებრივი აკუმულატორები არიან. ტორფის ხანძრების დროს ყოველდღიურად ჰაერში ადის ათობით ტონა $CO_2$, რომლებსაც ათასობით წლების განმავლობაში აგროვებენ ჭაობის მცენარეები და რომლებიც ილექება ტორფის სახით“, — იტყობინება ველური ბუნების მსოფლიო ფონდი.

## თუ დასვენებაა დასვენება იყოს!

ფრანგებს უყვართ შვებულების მთლიანად გამოყენება, იაპონელებს კი დიდხანს დასვენება არ სიამოვნებთ. ეს აჩვენა გამოკითხვამ, რომელიც მოაწყვეს მსოფლიოს 24 ქვეყანაში.

ალმოჩნდა, რომ საფრანგეთის მცხოვრებთა 89 პროცენტი ყოველწლიურად იღებს სრულ შვებულებას. მეორე ადგილზე კარგად დასვენების მოყვარულთა შორის არიან არგენტინელები, მათი 80 პროცენტი ერთი წლის განმავლობაში ისვენებენ ყველა კუთვნილ დღეს. მესამე ადგილი დაიკავეს უნგრეთის მცხოვრებლებმა, რომელთაგანაც 77 პროცენტი დარწმუნებულია, რომ უნდა დაისვენო მთლიანად.



ქართველების უმრავლესობასაც მიაჩნია, რომ შვებულება, თუ მათ ასეთი რამ ეკუთვნით უმუშევრობის ასეთ კატასტროფულ ყოფაში, უნდა გამოიყენო ერთხელ და მთლიანად წელიწადში. ხოლო ყველაზე „შრომისმოყვარეები“, ესე იგი, რომ არაა სავალდებულო ყველა საშვებულებო დღის გამოყენება ერთბაშად, ცხოვრობენ ავსტრალიაში, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკასა და იაპონიაში. პირველ ორ ქვეყანაში სრულ შვებულებას ღებულობს გამოკითხულთა 47 პროცენტი, იაპონიაში კი ასეთები მხოლოდ 33 პროცენტს შეადგენენ.

## შვილიშვილის სარჩელი

მისმა დიდმა მუდარამ დააბნია მწერალი და მზარეული და მათ, ბოლოს და ბოლოს, წაიყვანეს ეს მომაკვდავი ძროხა, რომელსაც ითაკილებდა ნებისმიერი გამტყავებელი საველე სამზარეულოშიც კი. მას შემდეგ, რაც ფული მის ჯიბეში იყო, ებრაელი კიდევ დიდხანს ტიროდა, რომ ის საბოლოოდ დაღუპეს, რომ თავისი თავი გაძარცვა, როცა მათ ასეთი შესანიშნავი ძროხა მიჰყიდა. ის იხვეწებოდა, ჩამოეხრჩოთ იგი იმისთვის, რომ ამ სიბერეში ასეთი სისულელე ჩაიდინა, რის გამოც მისი წინაპრები საფლავში გადატრიალდებოდნენ.

ის რამდენიმე ხანს ისევ იდგა მტვერში, შემდეგ უცბად გამოხალისდა, მივიდა თავის სახლში და ცოლს უთხრა: „ელზა, ჩემო სიცოცხლევ, ჯარისკაცებში გიჟები არიან, ნათანი კი ბრძენია!“

გერმანელები ახლა უფრო ჭკვიანები არიან, ვიდრე ჰიტლერის დროს, — ის მათგან ითხოვდა, ემუშავათ თავად, ისინი კი დღეს გერმანიაში ისე არიან, როგორც ებრაელები მოსკოვში — მხოლოდ „ჭკვიანურ სამუშაოზე“. ჩარხებთან და კომბაინებთან კი სულ უფრო მეტი თურქი და იუგოსლავიელია, ვინც ვერ გახდა ადამიანი.

აი, ვთქვათ, იკივლა საბჭოთა ვეტერანებზე ა. პოდრაბინეკმა. მერე რა? ვინ არის ვეტერანებისთვის პოდრაბინეკი, პოდრაბინეკისთვის ვეტერანები? საიდან გაჩნდა ეს სულელური სიბოროტე: „შთამომავალთა ზიზღი — ყველაზე ცოტაა იმასთან შედარებით, რაც საბჭოთა რეჟიმის მშენებლებმა და დამცველებმა დაიმსახურეს“? ეს ბოროტება სულ იქიდან მოდის: არ შეუძლიათ აპატიონ პოდრაბნიკებმა „საბჭოთა რეჟიმს“, რომ რუსები (საბჭოელებიც) 1945 წლის მაისში შევიდნენ ბერლინში და მთელ ევროპას აჩვენეს, თუ ვინ არიან მსოფლიოში მართლაც ზეადამიანები. რასისტებისთვის ხომ მართლაც განსაკუთრებით საწყენი იყო, რომ ამ დროს, ისრაელის რაბინატის მოსახსენებელი ლოცვის სიტყვებით რომ ვთქვათ, პოდრაბინელები „მოდიოდნენ, როგორც ცხვრები სასაკლაოზე“.

სახიფათო წუთებში (თუ ამას შეიგრძნობსც ნებისმიერი გონიერი ხალხი ბელადად წამოაყენებს ყველაზე ჭკვიან, ყველაზე სამართლიან ბელადს და მასთან ერთად გაიმარჯვებს და ამაღლდება. ჩვენ კი, რუსები (საბჭოელებიც ვისი ხელმძღვანელობით გავხდით ზეადამიანები? ვისი ხელმძღვანელობით ავმაღლდით? დაფიქრდით ამაზე და გასაგები გახდება, თუ რატომ ეზიზღება დასავლეთს სტალინი.

სტალინის ცილისწამებით, მაპატიეთ უხეში, მაგრამ ზუსტი სიტყვისთვის, ამამათმავლებენ ჩვენს წინაპრებს, ამის მეშვეობით კი ჩვენც. ისინი ჩვენ, დღევანდელებს, გვარწმუნებენ — არ ყოფილან ჩვენი წინაპრები ზეადამიანებიო, არ ყოფილან!!! მონები იყვნენ. უნდა ყოფილიყვნენ გერმანელების ან ებრაელების მონები, მაგრამ სტალინის დროს ეს ვერ „მოტეხეს“. იყვნენ სტალინის მონები — ხომ მაინც მონები იყვნენ! მონები, მონები, მონები!!!

დაგვრჩა გავარკვიოთ, რა არის სტალინიზმი ჩვენთვის, რუსებისთვის (ყოფილი საბჭოელებისთვისც. სტალინიზმი — ეს არის: ჩვენ თვითონ შეგვიძლია! შეგვიძლია ყველაფერი! 1952 წელს დრამატურგი კორნეიჩუკი კიევს ათვალიერებინებდა იტალიის დელეგაციას, და როცა მათ დაინახეს ტელეანძა და გაიგეს, რომ კიევში რეგულარულად მაუწყებლობს ტელევიზია, გაოცდნენ — ამ დროს იტალიაში ტელევიზიაზე ოცნებაც არ შეეძლოთ. საიდან ტელევიზია სსრ კავშირში? იქიდან, რომ სტალინის დროს გვასწავლიდნენ — რადიოს გამომგონებელი იყო არა იტალიელი მარკონი, არამედ რუსი პოპოვი. და გვასწავლიდნენ არა იმიტომ, რომ აღეზარდათ პატრიოტიზმი, არამედ რომ ჩაეგონებინათ ჩვენთვის — შენ ხარ რუსი (საბჭოთა ადამიანიც, თვითონ შეგიძლია ყველაფერი! დაამარცხო ყველა საშინელი მტერიც, და შექმნა ყველაფერი, რაც გინდა. სტალინიზმი — ეს არის: თავად შეგეძლოს ყველაფერი, სტალინიზმი — ეს არის: იყო ზეადამიანი.

ანტისტალინიზმი? ეს არის ის, ვინც გაძვრა ხელისუფლებაში, რომ უხელმძღვანელოს ქვეყნის მეურნეობას, შემდეგ კი გამოაცხადა, რომ ქვეყნის მეურნეობამ უნდა იმუშაოს ხელმძღვანელის გარეშე. ის, ვინც თავის თავს ეკონომისტად მიიჩნევს, წინასაარჩევნო პროგრამის ეკონომიკურ ნაწილსაც კი ვერ წერს და უწერენ ამერიკელები. ის, ვინც გაძარცვა ბოლომდე საწარმოები, შემდეგ

## იური მუხინი

# ასამართლებენ სტალინს




კი დაიწყო უცხოეთიდან მენეჯერების მოწვევა ამ საწარმოების სამართავად. ეს არის ის, ვინც თავს გვაწონებს თავისი სატელევიზიო ნიჭით, ამ დროს მაუწყებლობს „პოლე ჩუდესის“ მსგავსი უცხოური ტელეგადაცემის ასლით. ვისაც თავად არ შეუძლია ხალხს ისიც კი აუხსნას, თუ რისთვისაა ის ხელისუფლებაში და ქირაობს ამერიკელ სპეციალისტებს არჩევნების მოსაწყობად. აი ადვოკატი რეზნიკი — ეს, კი ბატონო, პირწავარდნილი ანტისტალინელია.

მაგრამ დავუბრუნდეთ სასამართლოს სტალინის ღირსებისა და პატივის შესახებ.

## თავი I

### ამოსავალი დოკუმენტები

### სარჩელი

მაშ ასე, ლეონიდ ჟურამ როდესაც მიიღო „ნოვაია გაზეტას“ უარი, გამოექვეყნებინათ მისი პასუხი იაკოვლევის სტატიაზე, მოსკოვის ბასმანის სასამართლოში შეიტანა შემდეგი სასარჩელო განცხადება:

**„ნოვაია გაზეტას“ 22.04.2009 წ. 03 (14)-ის დამატებაში „გულაგის სიმართლე“ „ანო „სარედაქციო-საგამომცემლო სახლმა „ნოვაია გაზეტამ“ გამოაქვეყნა ა. ი. იაბლოკოვის სტატია „დამნაშავედ დაინიშნა ბერია“.**

ამ სტატიაში ა. ი. იაბლოკოვმა შეურაცხყო იოსებ ბესარიონის ძე სტალინის (ჯუღაშვილისც ხსოვნა, დაამცირა მისი პატივი და ღირსება შემდეგ გამონათქვამებში:

**„სტალინი და ჩეკისტები გაისვარნენ დიდ სისხლში, უმძიმეს დანაშაულებში, უწინარეს ყოვლისა საკუთარი ხალხის წინააღმდეგ“.**

**„სტალინი და სკპ (ბ) პოლიტბიუროს წევრები, რომლებმაც გამოიტანეს შესასრულებლად სავალდებულო გადაწყვეტილება პოლონელთა დახვრეტის შესახებ, გადაურჩნენ მორალურ პასუხისმგებლობას უმძიმესი დანაშაულისთვის“.**

**„ყოფილი ხალხთა მამა, სინამდვილეში კი სისხლისმსმელი კაციჭამია, აღიარებულია „ეფექტიან მენეჯერად“.**

ი. ბ. სტალინის მისამართით თავისი შეურაცხყოფის დასადასტურებლად ა. ი. იაბლოკოვს მოჰყავს **„მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტის საიდუმლო ოქმები, რომელთა თანახმადაც „სსრ კავშირს მონაწილეობა უნდა მიეღო გერმანიის მხარეს პოლონეთზე თავდასხმაში“.**

ა. ი. იაბლოკოვი წერს: **„მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტის საიდუმლო ოქმებით გათვალისწინებული იყო, რომ სსრ კავშირს, მიუხედავად პოლონეთთან მოქმედი ხელშეკრულებისა თავდაუსხმელობის შესახებ, მონაწილეობა უნდა მიეღო გერმანიის მხარეს პოლონეთზე თავდასხმაში. მას შემდეგ, რაც 1939 წლის 1 სექტემბერს გერმანიამ დაიწყო ომი პოლონეთთან, სსრ კავშირი, გერმანიის წინაშე თავისი ვალდებულებების შესრულების შესაბამისად, 1939 წლის 17 სექტემბერს შეიჭრა პოლონეთში“.**

ა. იაბლოკოვი თავის სტატიაში არ მიუთითებს გათვითცნობიერებულ წყაროს. არ გამოაქვეყნა „საიდუმლო ოქმების“ ტექსტი, ციტატებიც კი არ მოიყვანა ამ საბუთებიდან, შესთავაზა მკითხველს — დაეჯერებინა მისი სიტყვებისთვის.

ა. იაბლოკოვის ეს მტკიცებანი არ შეესაბამება სინამდვილეს, ეწინააღმდეგება 1939 წლის სექტემბერში ისტორიულ მოვლენათა ფაქტობრივ განვითარებას და არის ავტორის მონაგონი, რაც შეურაცხყოფას აყენებს ი. ბ. სტალინის, როგორც სსრ კავშირის ერთ-ერთი ხელმძღვანელის, პატივსა და ღირსებას.

ა. იაბლოკოვი წერს, რომ პოლონელი ტყვე ოფიცრები კატინის ტყეში სსრ კავშირის შინსახკომის თანამშრომლებმა დახვრიტეს პოლიტბიუროს გადაწყვეტილების თანახმად **„სტალინის, ვოროშილოვის, მოლოტოვისა და მიქოიანის პირადი ხელმოწერებით, აგრეთვე კალინინისა და კაგანოვიჩის შენიშვნებით „თანახმა ვარ“.**

ა. იაბლოკოვი წერს: **„გამოძიების დროს დადგინდა, რომ მართლაც 14700 პოლონელი სამხედრო ტყვე შინსახკომის სამი ბანაკიდან და 7305 პოლონელი მოქალაქე, რომლებიც იყვნენ დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელარუსის ციხეებში, სკპ (ბ) პოლიტბიუროს 1940 წლის აპრილ-მაისის დადგენილებით დახვრიტეს სსრ კავშირის შინსახკომის თანამშრომლებმა და დამარხეს უკრაინის შინსახკომის აგარაკების ტერიტორიაზე და სხვა ადგილებში“.**

ა. იაბლოკოვმა თავის სტატიაში არ მოიყვანა მითითებული **„პოლიტბიუროს გადაწყვეტილება“** და არც შესაბამისი ციტატები ამ საბუთებიდან.

ა. იაბლოკოვის ეს განცხადება არის გამონაგონი, არ შეესაბამება სინამდვილეს და არაფრითაა დასაბუთებული.

პოლონელ ოფიცერთა დახვრეტაში სსრ კავშირის „ბრალეულობის“ დასადასტურებლად სკპ (ბც ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს 1940 წლის 5 მარტის გადაწყვეტილების გარდა, ა. იაბლოკოვს მოჰყავს **„ბერიას 1940 წლის 2 მარტის წერილი სტალინისადმი, ა. ნ. შელეპინის 1959 წლის 3 მარტის წერილის ნ. ს. ხრუშჩოვისადმი და დოკუმენტები“.**

ა. იაბლოკოვი წერს: **„მიუხედავად იმისა, რომ ამ დოკუმენტების სისწორეს ადასტურებენ სსრ კავშირის შინსახკომის ყოფილი თავმჯდომარე შელეპინი, სსრ კავშირის სამხედრო ტყვეთა საქმეების სასამართლოს ყოფილი უფროსი სოპრუნენკო, უკრაინის შინსახკომის კალინინის ოლქის უფროსი ტოკარევი და სხვები, ამ დოკუმენტების სისწორე კიდევ დამატებით გულდასმით იქნა შესწავლილი“.**

ა. იაბლოკოვი წერს: **„პირველად იქნა დოკუმენტურად დადასტურებული, რომ კატინის დანაშაულის დაახლოებით 22 ათასი მსხვერპლი სიკვდილით დასაჯეს სკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს გადაწყვეტილებით — პოლიტიკური და ეროვნული მოტივებით, როგორც საბჭოთა ხელისუფლების გამოუსწორებელი მტრები... ეროვნებით 97 პროცენტზე მეტი პოლონელი“.**

ა. იაბლოკოვი წერს: **„ამ მასობრივი მკვლელობის ვითარება დასტურდება არა მხოლოდ ამ დოკუმენტებით, არამედ მოწმეების ჩვენებებით და დაკრძალვის ადგილებში ექსგუმაციის მასალებითაც“.**

ა. იაბლოკოვის ეს განცხადებები არის გამოგონილი, არ შეესაბამება სინამდვილეს და არაფრით არ არის დადასტურებული.

რუსეთის კანონმდებლობის თანახმად, ვინმეს რაიმეში ბრალდებას ადგენენ მხოლოდ სასამართლო ორგანოები. მით უმეტეს, რომ თავად ი. იაბლოკოვი წერს, რომ **„2004 წლის 11 სექტემბრის რუსეთის ფედერაციის მთავარმა სამხედრო პროკურატურამ შეწყვიტა „კატინის საქმე დამნაშავეთა გარდაცვალების გამო, მიუხედავად სკპ (ბ) პოლიტბიუროს მონაწილეობის უდავოდ დადასტურებისა პოლონეთის 22 ათასი მოქალაქის განადგურებაში, დამნაშავეებად აღიარეს სხვა პირები“,** ე. ი. რუსეთის ფედერაციის მთავარმა სამხედრო პროკურატურამაც კი არ წაუყენა ი. სტალინსა და პოლიტბიუროს სხვა წევრებს არანაირი ბრალდება, და საქმე კატინის ტყეში პოლონელი ოფიცრების დახვრეტის შესახებ სასამართლოს არ გადასცა.

აღნიშნულის საფუძველზე და რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსის 151-152 მუხლებისა და რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო-პროცესუალური კოდექსის 131-132 მუხლების თანახმად გთხოვთ:

**1. ა. ი. იაბლოკოვის ქვემოთ მოყვანილი გამონათქვამები ი. ბ. სტალინის მიმართ, გამოქვეყნებული „ნოვაია გაზეტას“ 22.04.2009 წ. 03 (14)-ის დამატებაში „გულაგის სიმართლე“ „ანო „სარედაქციო-საგამომცემლო სახლი „ნოვაია გაზეტა“, მიჩნეული იქნეს გამოგონილად, სინამდვილესთან შეუსაბამოდ და ი. ბ. სტალინის პატივისა და ღირსების დამამცირებლად.**

(რედაქციისგან: აქ მოყვანილია კვლავ სარჩელში ჩამოთვლილი ციტატები ა. იაბლოკოვის სტატიიდან, რასაც ჩვენ აღარ ვიმეორებთც.

**2. დაევალოს ა. იაბლოკოვს და „ანო სარედაქციო-საგამომცემლო სახლ „ნოვაია გაზეტას“ გამოაქვეყნოს ზემოთ ჩამოთვლილი გამონათქვამების უარყოფა „ნოვაია გაზეტას“ დამატება „გულაგის სიმართლის“ უახლოეს ნომერში.**

**3. დაეკისროს მოპასუხეებს და გადამიხადონ მე, ევგენი იაკობის ძე ჯუღაშვილს, ი. ბ. სტალინის (ჯუღაშვილის) შვილიშვილს მორალური ზარალისა და ზნეობრივი ზარალის სახით 10 000 000 (ათი მილიონი) რუბლი, მათ შორის „ანო „სარედაქციო-საგამომცემლო სახლ „ნოვაია გაზეტას“ — 9500 000 (ცხრა მილიონ ხუთასი ათასი) რუბლი, ა. იაბლოკოვს — 500 000 (ხუთასი ათასი) რუბლი.**

**ზურაბ ლომიძის**
**თარგმანი.**

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 155.

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# აფხაზეთში რაკეტების განთავსების შემდეგ რუსები სომხეთსა და ტაჯიკეთში მიდიან

**მაშ ასე, აფხაზეთის შემდეგ – სომხეთი და ტაჯიკეთი. ბრძოლამაც კი საშინელ ხანძრებთან, რაც უპრეცედენტო სიცხეებმა გამოიწვიეს, ვერ შეაჩერა რუსეთის საგარეო პოლიტიკის შემტევი ხასიათი. ერთ დღეს მოსკოვმა შეძლო გაეკეთებინა ორი წარმატებული სვლა რთულ საჭადრაკო თამაშში, რასაც იგი ეწევა გასაოცარი ოსტატობით**

პირველი შამათის გაკეთება რუსეთმა შეძლო სომხეთში. რუსეთის ჯარები ამ ქვეყანაში დარჩებიან 2044 წლამდე. ეს ახალი ამბავი დაადასტურა ერევანში საგარეო საქმეთა მინისტრმა ედუარდ ნალბანდიანმა, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა ამ შეთანხმების დიდი მნიშვნელობა არა მხოლოდ ქვეყნის უშიშროებისათვის, რომლის გარანტადაც გამოდიან რუსეთის ჯარები სომხეთის არმიასთან ერთად, არამედ კრემლთან ორმხრივი პოლიტიკური ურთიერთობის განმტკიცებისთვისაც. მასთან კავშირი სომხეთს ძალიან სჭირდება. „რუსეთის ქვედანაყოფები დარჩებიან გიუმრის სამხედრო ბაზაზე. ისინი მუდმივ კავშირურთიერთობაში არიან ჩვენს შეიარაღებულ ძალებთან“, – განაცხადა მან.

აზერბაიჯანის რეაქცია, რომელიც სომხეთს ესაზღვრება და მასთან აქვს ძალიან რთული დიპლომატიური ურთიერთობანი, – მეტად უსიამოვნოა. 1987-1994 წლების ომის გამო მთიან ყარაბაღთან დაკავშირებით, რომელმაც გამოაცხადა დამოუკიდებლობა და რომელიც დღემდე ულიარებელია, სიტუაცია მეტად დელიკატურია. ბაქო ბრალს სდებს რუსეთს სომხეთის მხარდაჭერაში. თუმცა აზერბაიჯანის მთავრობის წარმომადგენლები არ ვარაუდობენ ჩარევას მოსკოვის მხრიდან, ისინი სერიოზულად არიან შეშფოთებული სომხეთის მზარდი მილიტარიზაციის გამო.



არ იქნებოდა ზედმეტი გაგვეხსენებინა, რომ აზერბაიჯანი თურქმენეთთან, საქართველოსთან და თურქეთთან ერთად არის ერთ-ერთი ის ქვეყანა, რომელზეც გაივლის ნაბუკოს გაზსადენი. პროექტი დაამუშავეს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ევროკავშირმა ცისფერი ოქროს შუა აზიიდან დასავლეთში გადასაქაჩად. ასე ცდილობენ თავი დააღწიონ ეკონომიკურ დამოკიდებულებას და პოლიტიკურ ზემოქმედებას რუსეთის მხრიდან. მოსკოვი ყოველთვის წინააღმდეგი იყო ამ გეგმისა.

მეორე შამათი კრემლმა გააკეთა ტაჯიკეთში. სამშაბათს, 17 აგვისტოს სოჭში გაიმართა მეტად მნიშვნელოვანი თათბირი რუსეთის პრეზიდენტს დიმიტრი მედვედევს, ავღანეთის პრეზიდენტს ხამიდ კარზაის, პაკისტანის ასიფ ალი ზარდარის და ტაჯიკეთის ემომალი რახმუნოვს შორის. შეხვედრის ოფიციალური მიზანია – ეკონომიკური პარტნიორობის გაძლიერება და აზიის ოთხი ქვეყნის უშიშროების საერთო რეგიონალური პოლიტიკის მხარდაჭერა. სინამდვილეში კი ეს შეხვედრა გამოიყენეს, რათა გაახანგრძლივონ მოსკოვის სამხედრო ყოფნა აინის სამხედრო-საჰაერო ბაზაზე.

il legno storto
quotidiano

---

# ქართული მაფია! გადარჩენის პოლიტიკა

**საქართველოს ცხოვრებისთვის, როგორც საბჭოთა პერიოდში, ისე მის შემდეგ, მნიშვნელოვანი დამახასიათებელი იყო განსაკუთრებული გავლენა, რასაც მასზე ახდენდა ძლიერი დანაშაულებრივი ქსელი – ეგრეთ წოდებული „კანონიერი ქურდები“, – რომლის აღმავლობა და თავად არსებობაც მჭიდროდ იყო დაკავშირებული საქართველოს სახელმწიფოს ცვალებადობასთან**

დანაშაულებრივი ქსელის განსაკუთრებული ხასიათი მეტად საინტერესოა შესწავლისთვის, თუმცა პოსტსაბჭოთა საქართველოს მკვლევარები მას ნაკლებ ყურადღებას აქცევენ. რითი აიხსნება მისი სიმყარე და როგორ აისახება ეს პოლიტიკის ხასიათზე დამოუკიდებელი „მეორე რესპუბლიკის“ ხასიათზე, რომელიც არსებობს უკვე ორი ათეული წელიწადია?

ამ კითხვებზე შესაძლო პასუხი მოცემულია სტატიაში, რომელიც გამოქვეყნდა 1980 წლების დასაწყისში, გარდაქმნის წინა პერიოდში, რომლის ავტორებიც ამტკიცებენ, რომ ჩრდილოვანი ეკონომიკის აყვავება საქართველოში გახდა „კულტურის ფუნდამენტური თავისუფლების“ შედეგი. ეს თავისებურებანი, თავის მხრივ, წარმოიშვა ქართველებისთვის დამახასიათებელი კულტურული ღირებულებების შედეგად, ისეთებისა, როგორიცაა მიდრეკილება მეტოქეობისაკენ, რისკისკენ, ღირსება და ნათლიმამობა.

ათი წლის შემდეგ საქართველოს დამოუკიდებლობის პირველი წლების ქაოსისა და ნგრევის შემდეგ კანონიერი ქურდების წარმომადგენლები გახდნენ საკვანძო მოთამაშეები ეკონომიკასა და ქვეყნის სახელისუფლებო სტრუქტურებში.

კანონიერი ქურდების სათავეები დაკავშირებულია საბანაკო სისტემასთან – „გულაგის არქიპელაგთან“, რომელშიც პატიმრები ხელმძღვანელობდნენ საკუთარი ღირსების კოდექსით. 80-იანი წლების შემდეგ საბჭოთა სისტემის დანგრევასთან ერთად გორბაჩოვის გარდაქმნის პოლიტიკის შედეგად, საქართველომ (როგორც სსრ კავშირის დანარჩენმა რესპუბლიკებმაცძ დაიბრუნა თავისი დამოუკიდებლობა. ეს პროცესი მალე სისხლით შეიცვალა. ქვეყანა ჩაება სამოქალაქო ომში და წარუმატებელ მცდელობებში – შეენარჩუნებინა კონტროლი სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთზე. ამ მძიმე ფონზე პრაქტიკულად არ ფუნქციონირებდა ეკონომიკა, საზოგადოებაში წამყვანი ადგილი დაიკავა კანონიერი ქურდების ახალმა თაობამ. 2003 წელს საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ, საბჭოთა კავშირის ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრმა, აღიარა: „კანონიერმა ქურდებმა შეჭამეს სახელმწიფო“.

2003 წლის რევოლუციამ, რომელიც ცნობილია როგორც „ვარდების რევოლუცია“, დაამხო შევარდნაძე და ხელისუფლების სათავეში მოიყვანა ახალგაზრდა მიხეილ სააკაშვილი. მისმა მთავრობამ დაიწყო ფართომასშტაბიანი ბრძოლის კამპანია მაფიასთან. მთავრობის მიერ მიღებული ზომები შეიცავდა საკუთრების კონფისკაციას, ახალი სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიღებას, ციხეებისა და პოლიციის რეფორმებს, სამოქალაქო განათლების რეფორმას. 2005 წლის დეკემბრიდან ქურდულ სამყაროსთან ურთიერთობა სისხლის სამართლის დანაშაულად იქცა. თავად დასახელება „კანონიერი ქურდი“ გახდა დანაშაულის ნიშანი.

## მარტივი შეკითხვა

2007 წლის მარტში, დაპატიმრებათა ტალღის შემდეგ, მიხეილ სააკაშვილმა გამოაცხადა, როდესაც თბილისში პარლამენტში გამოდიოდა, რომ „დანაშაულებრივი სამყაროს ხელმძღვანელთა სისტემის ქედი გადატეხილია, თუმცა ზოგიერთი, ვინც ამ დარბაზში იმყოფება, ამბობდა, რომ პატარა დამოუკიდებელი საქართველოს პარლამენტს ძნელად რომ შეეძლო გაეკეთებინა ის, რაც ვერ შეძლო თავად სტალინმა“.

სხვათა შორის, პრეზიდენტი ზოგიერთ რამეზე გაჩუმდა: ქურდული სამყარო მკვდარი როდია. მთავრობის მოქმედების საპასუხოდ ქართველმა კანონიერმა ქურდებმა გამოიყენეს მაფიის გადარჩენის ცნობილი ტაქტიკა – გადასახლება. ბევრი მათგანი გადასახლდა რუსეთში, რომლის პრესაც ხაზგასმით აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში ყველა კანონიერი ქურდის 33 პროცენტს შეადგენენ ქართული წარმომავლობის ქურდები (ამ პარამეტრით ქართველებმა ყველას გაუსწრეს, მათ შორის რუსებსაცძ. დანარჩენები გავრცელდნენ მთელს ევროპაში, რის შესახებაც მოწმობს 3 შედარებით ახალი სიუჟეტი:

- 2010 წლის მარტში ევროპაში დააპატიმრეს 69 კაცი, რომლებიც დაკავშირებული იყვნენ „ქართულ მაფიასთან“.
- ორი ქართული დანაშაულებრივი დაჯგუფება, კანონიერი ქურდებით სათავეში, ჩაერთო კონფლიქტში, რამაც გამოიწვია მკვლელობანი ათენის, მარსელისა და მოსკოვის ქუჩებში.
- 2010 წლის ივლისში ავსტრიის პოლიციამ დაიწყო დასავლეთ ევროპაში ქართული დანაშაულებრივი ქსელის საქმიანობის გამოკვლევა. ქსელი სავარაუდოდ აფინანსებდა ოპოზიციის საპროტესტო აქციებს, რომლებიც თბილისში მიმდინარეობდა 2009 წლის აგვისტოში.

ჩნდება მარტივი შეკითხვა: რატომ შვა საქართველომ კანონიერი ქურდების ასეთი რაოდენობა? როგორც რუსეთში, თავად საქართველოშიც არის მარტივი პოპულარული განმარტება, რომლის თანახმადაც ქართული ღირებულებანი, კულტურა, და მენტალიტეტი ერთგვარად ჰარმონიაშია ქურდული სამყაროს ღირებულებებთან, კულტურასთან და მენტალიტეტთან.

ასეთი „კულტუროლოგიის“ უბედურებაა ის, რომ საერთო სიტყვები, როგორიცაა „ქართული კულტურა“ ან ქართული მენტალიტეტი, კონკრეტულად ვერ ხსნიან, თუ რატომ გახდა საქართველო ქურდული სამყაროსთვის უფრო ხელსაყრელი, ვიდრე ნებისმიერი სხვა ქვეყნისთვის პოსტსაბჭოთა სივრცეში. შეიძლება, უფრო შედეგიანი იქნებოდა გაგვეხილა კანონიერი ქურდების საკითხი სოციალურ სამყაროსთან და ეკონომიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებით. ამ თვალსაზრისით კანონიერი ქურდები – კულტურული ტენდენციებისა და პრაქტიკისაგან დამოუკიდებლად – კონკურენციას უწევენ სხვა სტრუქტურებს და მათი სიძლიერე პირდაპირ არის დამოკიდებული მათდამი მოთხოვნაზე.

## საკონკურენტო უპირატესობა

ასეთი მიდგომის ფარგლებში შეიძლება დავასკვნათ, რომ გავლენა, რაც კანონიერმა ქურდებმა მიიღეს საქართველოში, მომდინარეობს ამ რესპუბლიკისთვის დამახასიათებელი სოციალურ-ეკონომიკური პირობებიდან. ჯერ ერთი, „ჩრდილოვანი ეკონომიკის“ ქართული სექტორი პროპორციულად იყო ერთ-ერთი ყველაზე დიდი საბჭოთა კავშირში. საბჭოთა პოლიტიკური სისტემის ბუნებიდან გამომდინარეობდა, რომ სახელმწიფო უძლურია დაიცვას ან მოაწესრიგოს ეს არალეგალური კაპიტალისტური ურთიერთობა. გაჩნდა ერთდროულად დავების მექანიზმის ალტერნატიულად გადაჭრის აუცილებლობა და მათი გაჩენის შესაძლებლობა. და მართლაც, დოკუმენტები საქართველოს არქივებიდან მოწმობენ, რომ ჯერ კიდევ 80-იან წლებში კანონიერი ქურდები ასრულებდნენ შავ ბაზარზე სწორედ ამ ფუნქციას.

მაგრამ ეს მხოლოდ ნაწილობრივ განმარტავს იმ მნიშვნელობას, რაც მოიპოვეს კანონიერმა ქურდებმა საქართველოში, თანაც ეს არ შეიძლება იყოს ამომწურავი განმარტება. ბოლოს და ბოლოს, ჩრდილოვანი ეკონომიკის მოცულობა მეტად დიდი იყო სხვა რესპუბლიკებშიც, კერძოდ აზერბაიჯანსა და ყაზახეთში. ამიტომ აუცილებელია გავითვალისწინოთ მეორე ფაქტორი – სახელმწიფოს კოლაფსის ხარისხი, რაც გადაიტანა საქართველომ 1990-იან წლებში, შეიძლება ყველაზე მძიმე კოლაფსი პოსტსაბჭოთა სივრცეში.

მრავალი მაფიის გამოცდილება, მათ შორის სიცილიის 1970-იანი წლების „კოზა ნოსტრასი“, გვიჩვენებს, რომ ასეთ გაერთიანებათა მკაცრ კონკურენციას ჩვეულებრივად უპასუხებენ შესასვლელი ჯებირის შემცირებით. საქართველოს პოლიციის მაჩვენებლები ადასტურებენ, რომ ქართველი კანონიერი ქურდები ამ თვალსაზრისით გამონაკლისი როდია. საბჭოთა პერიოდში ისინი თავიანთ რიგებში არ ღებულობდნენ ხალხს ციხის გამოცდილების უქონლად, და არ ყიდდნენ „კანონიერი ქურდის“ ტიტულს ფულზე. მაგრამ ამჟამად ამგვარმა პრაქტიკამ მკვეთრად გაზარდა იმ ქართველების რიცხვი, ვინც ამ ტიტულს ატარებს. შედეგად ამ ტიტულების მოვაჭრეთა სწრაფვამ გამდიდრებისკენ და გაერთიანების ახალი წევრების შეუზღუდავმა ქცევამ დაანგრია მითი ქურდებზე, როგორც ასკეტებზე და ღირსების ადამიანებზე.

## რეფორმები და წარსულისკენ დაბრუნება

ეს მოსაზრებანი საშუალებას გვაძლევს ზუსტად ავხსნათ, რატომ არის კანონიერ ქურდებს შორის დღემდე ასე ბევრი ქართველი. იდეა „კულტურის ფუნდამენტური თავისებურებების შესახებ“ შეიძლება ჩავაბაროთ არქივში: გადამწყვეტ ფაქტორებად აქ იქცნენ არა ისინი, არამედ საქართველოს ჩრდილოვანი ეკონომიკის მოთხოვნები დავების გადაჭრისათვის და სახელმწიფოს კოლაფსის არაჩვეულებრივი ხარისხი 1991 წელს, რამაც გამოიწვია მკაცრი კონკურენცია სიმდიდრის მოპოვებისათვის, თავისი მოულოდნელი შედეგებით.

openDemocracy
free thinking for the world

---

## დედამიწის ზურგზე




**ირანმა მსოფლიოს აჩვენა თავისი შორეული მოქმედების უპილოტო მზვერავი თვითმფრინავი**

**ისლამის რესპუბლიკის პრეზიდენტმა მაჰმუდ აჰმადინეჟადმა კვირას საზეიმოდ ჩამოხსნა ლენტა საფრენ აპარატს „კარარს“. ჯერჯერობით ეს საფრენი აპარატი სიკეთის ელჩია, მაგრამ შეიძლება გახდეს სიკვდილის ელჩიც, გაგვაფრთხილა აჰმადინეჟადმა.**

* * *

**ასტრონომები: სიგნალები კოსმოსიდან დედამიწაზე შეიძლება გადმოსცეს ხელოვნურმა გონებამ**



**პროექტ „სეტის“ სპეციალისტები, რომლებიც თვალყურს ადევნებენ და უსმენენ კოსმოსს სხვა პლანეტების რადიოსიგნალების საძიებლად, მიიჩნევენ, რომ თუ სამყაროს გარეთ მყოფი ცივილიზაცია გამოიგონებს რადიოს, მისთვის ძნელი არ იქნება ხელოვნური ინტელექტის განვითარებაც.**

* * *

**გათავისუფლებულმა პოლიციელმა მანილაში აიყვანა ავტობუსი 25 ტურისტით**




**6 მძევალი, მათ შორის 3 ბავშვი უკვე გაათავისუფლეს. ავტობუსს გარს არტყია პოლიცია ქალაქის ცენტრში. მიმდინარეობს მოლაპარაკება პოლიციელთან – ის გაათავისუფლეს ქურდობისთვის, გამოძალვისა და ნარკობიზნესთან კავშირისთვის. ის ავტომატური იარაღით არის შეიარაღებული და ითხოვს სამსახურში აღდგენას.**

* * *

**პაკისტანში ბრბომ მოზარდი ძმები პოლიციის თვალწინ დასაჯა ლინჩის წესით**



**ბრბომ ისინი სცემა სიკვდილამდე, შემდეგ კი უკვე დახოცილები, ჩამოახრჩვეს. ძმები შეცდომით მიიჩნიეს ქურდებად. მას შემდეგ, რაც შოკისმომგვრელი კადრები აჩვენეს ადგილობრივი ტელევიზიით, დააპატიმრეს 10 ეჭვმიტანილი, მათ შორის 4 პოლიციელი.**

* * *

**მექსიკას ემუქრება წყნარი ოკეანის გრიგალი „ფრენკი“. ატლანტიკაში „მწიფდება“ „დანიელი“**

**ზოგიერთ შტატში გამოაცხადეს გრიგალის შემოტევის შესახებ. ფრენკს შეუძლია აკრიფოს სიჩქარე და მიაღწიოს გრიგალის დონეს უკვე 23 აგვისტოს. ერთდროულად ატლანტიკაში გრიგალის ზღვარს მიაღწია ტროპიკულმა ციკლონმა „დანიელმა“.**

## ჩვენი ბიბლიოთეკა

– ძალიან ახალგაზრდა ხარ, – თქვა უიკამ ბოლოს.

ბრიდას ხმა არ ამოუღია, მომდევნო რეპლიკას უცდიდა და გულში ფიქრობდა, როგორ მოხდა, რომ ასეთ ძველებურ სახლში ულტრათანამედროვე ბინა აღმოჩნდაო. და შეცნობის გზათა ძიების რომანტიკული იდეა ერთბაშად გაქრა.

– იმან დამირეკა, – თქვა დიასახლისმა, და ბრიდა მიხვდა, რომ უიკას წიგნის მაღაზიის პატრონი ჰყავდა მხედველობაში.

– მოძღვარს ვეძებ. გრძნება-მაგიის გზის გაყოლა მინდა.

უიკამ უფრო მეტი ყურადღებით შეათვალიერა ბრიდა: ნამდვილად ნაწილიანი ჩანს, დასტურ მადლნიჭებულია. მაგრამ მაინც უნდა გაიგოს, ესოდენ უჩვეულო და საგანგებო რა დაინახა ფოლკელმა მოგვმა ამ ყმაწვილქალში. მარტო მადლი აშკარად საკმარისი არ არის. ფოლკელი მოგვი ახალბედა ვინმე რომ ყოფილიყო, მაშინ არც გასაკვირი იქნებოდა, თუ შთაბეჭდილებას რასმე მოახდენდა პირველად შეხვედრილი ყმაწვილქალის ცხადი მადლნიჭებულება. მაგრამ ის უკვე იმხნის კაცია, შეუძლებელია, არ იცოდეს, რომ მადლი ჩვეული რამ არის ყოველთა კაცთათვის, და ასეთ ხაფანგში თავი არ უნდა გაეყო.

დიასახლისი წამოდგა და თაროებთან მივიდა, თავისი საყვარელი ბანქოს დასტა გადმოიღო.

– იცი, ეს რა არის?

ბრიდამ პასუხად თავი დაუქნია. არა, ტყუილად არ უვლია კურსებზე და უიკას ხელში მყის იცნო ტაროს ბანქო, სამოცდათვრამეტი სათამაშო ქაღალდი. მან ბანქოს გაშლის რამდენიმე ხერხი იცოდა და ახლა ნამდვილად გაახარა იმის შესაძლებლობამ, რომ თავისი ცოდნის ჩვენება შეეძლო.

მაგრამ უიკამ თავად აურია დასტა, პატარა მინის მაგიდაზე პირქვე გაშალა ბანქო და დააქცერდა, თუმცა ბრიდას ეჩვენებოდა, რომ ბანქო უწესრიგოდ ეყარა. – ყოველ შემთხვევაში, მან ვერავითარი სისტემა ვერ შენიშნა ამ ამბავში. კურსებზე არცრა მსგავსი რამ არ უსწავლებიათ. დიასახლისმა რომელიღაც უცნობ ენაზე რამდენიმე სიტყვა წარმოთქვა და ერთ-ერთი კარტი წაღმა გამოაჩინა.

ეს პიკის მეფე იყო,ნომერი 23.

– კარგი ვინმე გიცავს, – თქვა უიკამ. – ძლიერი, ყოვლისშემძლებელი შავთმიანი მამაკაცი...

ბრიდას საქმროს არცრა ძალა ჰქონდა, არცრა ყოვლისშემძლეობა. მოგვი კი თმადათრთვილული იყო.

– იმაზე ნუ ფიქრობ, როგორ გამოიყურება, – უთხრა უიკამ, თითქოს გულისნადები წაუკითხაო. – შენს სხვა ნაწილზე იფიქრე.

– ეგ სხვა ნაწილი რაღაა? – გაიკვირვა ბრიდამ. ეს ქალი რაღაც იდუმალ პატივისცემას შთააგონებდა – არა, სრულებითაც ასეთი რამ გრძნობა არ განუცდია მაშინ, როცა მოგვთან ანდა წიგნის მაღაზიის პატრონთან ჰქონდა ურთიერთობა.

უიკას პასუხი არ გაუცია. კვლავ აურია ბანქო, კვლავ არეულ-დარეული მიყარ-მოყარა მაგიდაზე, ოღონდ ამჯერად წაღმა. ამ თითქოსდა ქაოსის შუაგულში აღმოჩნდა 11 ნომერი კარტი. „ძალა“. ქალი, რომელიც ხახას აბჩენინებდა ლომს.

უიკამ, კარტი აიღეო, სთხოვა, და ბრიდა თავისდა უნებურად დაემორჩილა.

– შენი ყოვლის უფრო ძლიერი მხარე მუდამ იყო სხვად განსახიერებული ქალი, – გაიგონა ბრიდამ.

– არ მეტყვი, მაინც რა არის ეგ სხვა ნაწილი? – ჯიუტად გაიმეორა ყმაწვილქალმა.

მთელი ამ ხნის განმავლობაში, მართალია, მორიდებით, მაგრამ პირველად შეჰბედა მან დიასახლისს გამომწვევი კითხვა.

უიკა წამიერად გაჩუმდა, ცოტა არ იყოს, ბუნდად შეეჭვებული – ნუთუ მოგვმა მართლა არაფერი არ უთხრა ამ ყმაწვილქალს სხვა ნაწილისა გამოო, – და, თავადვე შეუძახა რა თავის თავს: „სისულელეაო!“, უმალ უკუაგდო ეს აზრი.

– სხვა ნაწილი ის არის, რაც ყოველივე დანარჩენის უწინარესად უნდა შეიცნონ ადამიანებმა, ვინც კი მთვარის ტრადიციის მიყოლას ესწრაფვის, – მიუგო უიკამ. – მხოლოდ ამის შემდგომ ხდება შესაძლებელი, რომ მივხვდეთ, თუ როგორ გადაიცემა დროთა სიღრმის წიაღ შეცნობა-შემეცნება.

ბრიდა ხარბად უსმენდა უიკას ახსნა-განმარტებას, შიშობდა, ემანდ რამე სიტყვა არ გამომრჩესო.

– ჩვენ ბოძებული გვაქვს საუკუნო ცხოვრება, რამეთუ თითოეულ ჩვენგანში უფალი ვლინდება, – განაგრძობდა უიკა თავის ახსნა-განმარტებას. – ამიტომ არის, რომ მრავალი სიცოცხლისა და მრავალი სიკვდილის გავლა გვიწევს. კაცმა არ იცის, საიდან მოვდივართ და სად მივდივართ. უდრტვინველად შეისმინე, გრძნება-მაგიაში ყოველივეს არც ახსნა შეიძლება და არც განმარტება. ღმერთმა ინება, რომ აგრეა და დღეის წაღმართაც აგრე იქნება. თუ რა რატომ ხდება, მან ერთმა უწყის.

„რწმენის ღამის წყვდიადი“, – გაიფიქრა ბრიდამ. ეგ წყვდიადი ხომ მთვარის ტრადიციაშიც არის.

– გინდა ასე თქვი, გინდა ისე, მაგრამ ეს ხდება. – ამბობდა უიკა. – და გარდასახვასა თუ სახეცვალებაზე რომ ფიქრობენ, ადამიანები მიწყივ ერთ ურთულეს საკითხს აწყდებიან: უკეთუ დრო-ჟამის დასაბამისას დედამიწაზე აგრერიგად ცოტა ხალხი იყო, ხოლო აწ ესოდენ ბევრია, საიდან გაჩნდა ამდენი ახალი სული?

ბრიდა სუნთქვაშეკრული უსმენდა. თავადაც ბევრჯერ მიუცია თავისი თავისათვის ეს კითხვა.

– არადა პასუხი სულ უბრალოა, – თქვა უიკამ, რომელსაც აშკარად ეტყობოდა, რომ ნეტარებდა ყმაწვილქალის დაბნეულობით. – ზოგიერთი გარდასახვისას თუ სახეცვალებისას ყოველი ჩვენგანის სული იყოფა, ნაწილდება, ზუსტად ისევე მრავლდება და ბევრდება, როგორაც ეს უჯრედებსა და მცენარეთ ემართებათ. ჩვენი სული ჯერ ორად იყოფა, მერე ორივე ნაწილი კიდევ ერთხელ იყოფა, მერე კიდევ ერთხელ, მერე კიდევ ერთხელ და აი ამდენი საუკუნის გავლის შემდგომ მთელი თუ არა, დედამიწის მნიშვნელოვანი ნაწილი დავფარეთ.

– ოღონდ ამ მრავალი ნაწილიდან მხოლოდ ერთს ესმის, თუ თავად ვინ არის, არა? – ჰკითხა ბრიდამ. შეკითხვა ბევრი ჰქონდა, მაგრამ, თანდათან შევეკითხებიო, გადაწყვიტა. ეს შეკითხვა კი ყველაზე მნიშვნელოვნად ეჩვენა.




– ჩვენ იმის ნაწილნი ვართ, რასაც ალქიმიკოსნი Anima Mundi-ს, ანუ ქვეყნიერების სულს ეძახიან. – ბრიდას პასუხად კი არა, თავისთვის განაგრძობდა უიკა. – სინამდვილეში უკეთუ ეს ქვეყნიერების სული მხოლოდ გაიყოფოდა, რასაკვირველია, იმრავლებდა, თუმცა დასუსტდებოდა. მაგრამ ჩვენ არა მარტო ვიყოფით და ვნაწილდებით, არამედ ვერთდებით და ვერწყმით კიდეც ერთმანეთს. ეს კვლავ შეერთება და გაერთიანება კი სიყვარულია. რამეთუ სული მიწყივ მამრ და მდედრ ნაწილად იყოფა. აგრეა თქმული დაბადებაში, შესაქმის წიგნში: ადამი გაიყო, და იმისგან იშვა ევა.

უიკა უცებ გაჩუმდა და მაგიდაზე გაშლილ ბანქოს დააშტერდა.

– ბანქო ქვეყანაზე ბევრია, – ისევ ალაპარაკდა უიკა, – მაგრამ სუყველა ერთი დასტისაა, იმისათვის, რათა წავიკითხოთ, რას გვიჭაშნიკებენ ისინი, სუყველა უკლებლივ საჭიროა, რამეთუ სუყველა ერთნაირად მნიშვნელოვანია, სულთა საქმეც აგრეა. სუყველა ადამიანი ერთმანეთს არის გადაწნული, სუყველა ერთმანეთს უკავშირდება, როგორც რომ ბანქო ამ დასტაში. და ჩვენგან განვლილ თითოეულ ცხოვრებაში ვალდებულნი ვართ, რომ შევხვდეთ თუნდაც ერთ-ერთ ამ სხვა ნაწილს. ჩვენთა სხვა ნაწილთა გამყოფი დიადი სიყვარული იმ სიყვარულით კმაყოფილდება, რომელიც ამ სხვა ნაწილთ კვლავ აერთიანებს.

– მერედა, როგორ უნდა ვიცნო, რომელია ის ჩემი სხვა ნაწილი? – წამოიყვირა ბრიდამ და თან იმის გაფიქრება მოასწრო, მთელი ჩემი სიცოცხლის მანძილზე უფრო მნიშვნელოვან რასმე ჯერ არავის არ შევკითხივარო.

უიკამ გადაიკისკისა. ოდესღაც ისიც ამასვე ეკითხებოდა თავის თავს – და არანაკლებ აგანგაშებული, ვიდრე ეს ყმაწვილქალი, ახლა წინ რომ ეჯდა. სხვა ნაწილის ცნობა შეიძლება თვალთა ციაგით, რამეთუ ათადან-ბაბადან აგრე სცნობდნენ ადამიანები თავიანთ ჭეშმარიტ სიყვარულს. მაგრამ მთვარის ტრადიცია სხვა რასმე გვთავაზობს – ახალ მხედველობას გვიჩენს, რაც იმის საშუალებას გვაძლევს, რომ ამ სხვა ნაწილის მარცხენა მხარზე მანათობელი რამ წერტილი გავარჩიოთ. მაგრამ ამაზე ჯერ ადრეა ბრიდასთან ლაპარაკი: ოდესმე ეგება ისწავლოს ამ წერტილის დანახვა ან იქნებ ვერც ისწავლოს, მალე გაირკვევა.

– სხვა ნაწილის საცნობად რისკის გაწევაა საჭირო, ბედი უნდა სცადო, – მიუგო უიკამ. – მერე რა ვუყოთ, თუ დამარცხდი, თუ იმედიც მწარედ გაგიცრუვდა, თუ ილუზიის უნარმაც გიღალატა. ყველაფრის რისკი უნდა გასწიო, ოღონდ სიყვარულის ძიება არ უნდა შეწყვიტო. გამარჯვებით ის გაიმარჯვებს, ვინც ძიების იმედს არ დაკარგავს.

ბრიდას წამოაგონდა, რომ მოგვიც რაღაცას მსგავს რასმე ეუბნებოდა, როცა გრძნება-მაგიის გზაზე ჩამოუგდო სიტყვა. „ეს, ალბათ, ერთი და იგივეა“, – გაიფიქრა მან.

უიკამ მაგიდიდან ბანქოს ალაგება დაიწყო, და ბრიდა მიხვდა, ჩემთვის გამოყოფილი დრო, როგორც ჩანს, გასრულდაო. მაგრამ კიდევ ერთი რამ აუცილებლად უნდა ეკითხა.

– ისეც თუ ხდება, რომ ჩვენს ყოველ ცხოვრებაში ერთს კი არა, რამდენიმე სხვა ნაწილს ვხვდებით?

„ხდება“, – არცთუ სიმწრის განუცდელად გაიფიქრა უიკამ. და როცა კი ასეთი რამ ხდება, გული ლუკმა-ლუკმად ქუცმაცდება. და საბოლოოდ ოდენ სატანჯველადღა ვარსებობთ. კი, ადვილი შესაძლებელია, რომ სამ ან ოთხ სხვა ნაწილსაც შევხვდეთ, რამეთუ ბევრნი ვართ და თანაც დაქსაქსულნი. ამ ყმაწვილქალის ყოველი შეკითხვა მიმართულია პირდაპირ მიზნისკენ, და პასუხს უსათუოდ უნდა აარიდოს თავი.

– სუყოველ ღვთისგან გაჩენილ აღნაგს ოდენ ერთი უზენაესი არსი აქვს, – მიუგო უიკამ. – რასაც სიყვარული ჰქვია. სიყვარული ძალაა, რომელიც კვლავ გვკრებს ერთ მთლიანად, რათა თავი მოვუყაროთ, დავაგროვოთ მთელ დედამიწის ზურგზე მრავალ ცხოვრებაში მიმოფანტული გამოცდილება, გინდ ჭირნახულობა თქვი.

ჩვენი მთელი დედამიწისთვის ვაგებთ პასუხს, რამეთუ არ ვუწყით, სად არიან აწ ის სხვა ნაწილნი, რომელნიც ჩვენ ვიყავით დროთა დასაბამისას, და უკეთუ ისინი კარგად მყოფობენ, ჩვენც ბედნიერნი ვიქნებით. როს ისინი ვაგლახად არიან, მართალია, ქვეცნობიერად, მაგრამ მაინც ვგრძნობთ იმათი ტანჯვის რაღაცა ნაწილს. ოღონდ უწინარესად იმისათვის ვაგებთ პასუხს, რომ ჩვენს სუყოველ გარდასახვა-სახეცვალებაში თუნდაც ერთხელ შევუერთდეთ იმ სხვა ნაწილს, რომელიც უეჭველად სადმე გადაგვეყრება გზაში. რა ვუყოთ, თუ ეს შეხვედრა სულ რამდენიმე წამს გაგრძელდება, სამაგიეროდ ამ წამთ იმისთანა მძაფრი სიყვარული მოაქვთ, რომ ეს მთელ ჩვენს დანარჩენ ამასოფლიურ ყოფნას ამართლებს.

სამზარეულოში ძაღლმა დაიყეფა. უიკამ ბანქო ააგროვა და კვლავ ბრიდას შეხედა.

– ხან ისეც ხდება, რომ ჩვენს სხვა ნაწილს ახლოსაც არ ვიკარებთ, თავიდან ვიშორებთ ანდა სულაც ვერა ვცნობთ. მაშინ იმასთან ახალი შეხვედრისთვის კიდევ ერთი გარდასახვა, კიდევ ერთი სახეცვალება გვჭირდება. და უკეთუ გონს არ მოვეგეთ, ჩვენი თავკერძობისა და ეჩოობისა გამო ჩვენ მიერვე ჩვენივე თავისთვის გამოგონილი ყოვლის უფრო საშინელი ტანჯვა-ვაებისთვის გავიწირებით. ეს ტანჯვა-ვაება კი მარტოობაა.

უიკა წამოდგა და სტუმარი კარამდე მიაცილა.

– შენ იმისთვის არ მოსულხარ, რომ სხვა ნაწილისა გამო შეგეტყო რამე, – უთხრა მან, სანამ დაემშვიდობებოდა. – შენ მადლნიჭებული ხარ, და როს ჩავხვდები, რა კბილისაა ეგ შენი მადლი, იქნებ მაშინ შევძლო შენთვის მთვარის ტრადიციის სწავლება.

ბრიდა როგორღაც სრულიად განსაკუთრებულ არსებად გრძნობდა თავს. სხვანაირად არც შეიძლებოდა, უთუოდ უნდა განეცადა ეს გრძნობა – უიკა რიდსა და მოწიწებას შთააგონებდა, რაც ადრე არასოდეს არცვის მიმართ არა ჰქონია.

– რასაც შევძლებ, ყველაფერს ვიზამ, მინდა, რომ მთვარის ტრადიცია შევისწავლო, – თქვა ყმაწვილქალმა და გულში დასძინა: „იმიტომ რომ მთვარის ტრადიცია უუღრანტყეოდაც იოლად გავა“.

– ყურადღებით მისმინე... – მკაცრად უთხრა უიკამ. – ამიერიდან, ყოველდღე, განსაზღვრულ საათს, რომელსაც თავად შეარჩევ, უნდა განმარტოვდე ხოლმე და ტაროს ბანქო გაშალო მაგიდაზე. კარტი ყოველთვის ალალბედზე გამოაჩინე, არც არაფრის გაგება არა სცადო და არც კიდევ რისამე წინ-წინ შეტყობა. უბრალოდ დააცქერდი, საჭირო დროს, თავის ვადაში, ბანქო ყოველსავე გასწავლის, რის ცოდნაც იმწუთას დაგეჭირვება.

„მზის ტრადიციას ჰგვანებია“, – ფიქრობდა კიბეზე ჩამომავალი ბრიდა. – კვლავ ვიწყებ საკუთარი თავის სწავლებას“.

და ავტობუსში ჩაჯდომისასღა გაახსენდა, რომ უიკამ მადლი ახსენა. თუმცა ამაზე მერეც შეიძლება ლაპარაკი, როცა კიდევ შეხვდებიან.

გადმოაქართულა
**გურამ გოგიაშვილმა.**

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 152-155.

## კალათბურთი

# ოცნებათა სასაფლაო



**მაინც, რა ვართ ეს ქართველები.**

**შარშან, როცა ხანგრძლივი მცდელობის შემდეგ ევროპის ჩემპიონატის „ა“ დივიზიონის საგზური მოვიპოვეთ, სიხარულით ცას ვეწიეთ და ბიჭებსა და მათ სერბ მწვრთნელს ლამის ძეგლები დავუდგით, წლეულს კი, გინდა თუ არა, ფინალურ ეტაპზე უნდა გაალწიოთო, დავავალდებულეთ ისინი.**

ჩვენი კალათბურთელების ოსტატობისა და შესარჩევი ჯგუფის შემადგენლობის გათვალისწინებით ეს ამოცანა გადაუჭრელი სრულიადაც არ არის, მაგრამ რატომღაც დავივიწყეთ, რომ მხოლოდ ზემოთ დასახელებული კომპონენტები დიდი წარმატების მისაღწევად, ელიტაში მოხვედრა კი სწორედ ასე შეიძლება შეფასდეს, საკმარისი არაა და მის ხორცშესხმას თაობათა ძალისხმევა სჭირდება.

რა თქმა უნდა, გამონაკლისებიც არსებობს, მაგრამ „ჯვაროსანთა“ შემთხვევაში მსგავს ფუფუნებაზე არც კი უნდა ვიოცნებოთ მანამ, სანამ ეროვნული ნაკრები შეკრებაზე სეზონის უმთავრესი ასპარეზობის დაწყებამდე მხოლოდ ერთი თვით ადრე გადავა, შემჭიდროებული გრაფიკის პირობებში უმნიშვნელოვანეს შეხვედრებზე უჩარტერო ავიარეისებით გაემგზავრება და თითოეულ პოზიციაზე სულ მცირე ორი სრულფასოვანი მოთამაშე არ ეყოლება.

კი მაგრამ, ბელგიასთან ურემი რომ არ გადაბრუნებულიყოო, — იკითხავთ, ალბათ. ნეტავ არ გადაბრუნებულიყო, ნამდვილად გულით გავიხარებდით, მაგრამ რადგან გადაბრუნდა, სათქმელი ბოლომდე პირუთვნელად უნდა ითქვას, რათა წლევანდელი შეცდომები აღარ გავიმეოროთ.

თუ სამართლიანნი ვიქნებით, კალენდარზეც უნდა ვთქვათ ორიოდე სიტყვა. ვინ იფიქრებდა მისი შემუშავებისას, რომ ის გარემოება, ედი კასტელსის გუნდს კავკასიელებთან მატჩებამდე ერთკვირიანი დასვენება რომ მოუწევდა, გარკვეულწილად განსაზღვრავდა მათი ბრძოლების შედეგს. თურმე, უნდა გვეფიქრა.

და ბოლოს, მიუხედავად ბენილუქსელთაგან ნაწვნევი ალიყურისა, მაინც ვინარჩუნებთ გაისად ლიტვაში გამგზავრების შანსს. საამისოდ აუცილებელია პორტუგალიასთან (სტუმრად, 26 აგვისტოსძ და ბულგარეთთან (შინ, 29 აგვისტოსძ დარჩენილი პაექრობების რაც შეიძლება ქულათა „მსუყე“ მარაგით მოგება და სხვა ჯგუფებში ჩვენთვის სასურველი შედეგების დაფიქსირება.

**საქართველო — ბელგია 63:86**

**(18:15, 11:21, 17:29, 17:21ძ**

**საქართველო:** ფაჩულია — 11, გრინი — 11, შენგელია — 9, შერმადინი — 9, სანიკიძე — 8, მარკოიშვილი — 5, ცქიტიშვილი — 5, ცინცაძე — 3, მეტრეველი — 2 ქულა.

**ბელგია:** ფეისონი — 16, ჰერველე — 15, ბეგინი — 15, ვან როსომი — 13, მოორსი — 5, ვან დერ იონკჰეიდი — 5, ლაუვერსი — 5, ტაბუ — 5, ვან დენ შპიგელი — 5, მუია — 2 ქულა.

**მსაჯები:** სპირიდონ გონტასი (საბერძნეთიძ, ომერ ესტერონი (ისრაელიძ, ვიქტორ ბოჟენარი (უკრაინაძ.

**პორტუგალია — პოლონეთი 85:84**

**(დამატებით დროში, ძირითადი დრო — 75:75ძ**

**ბელგია — 4 (5 თამაშიდანძ — საქართველო, პოლონეთი, ბულგარეთი (5 თამაშიდანძ — 3-3, პორტუგალია — 1 მოგება.**

**გია პლატონიშვილი**

**ვაჟა დანელიას ფოტო.**

## ჭადრაკი

# „ოქრო-ვერცხლი“ საამიროებიდან



**აბუ დაბიში მოჭადრაკეთა საერთაშორისო ფესტივალში წარმატებით იასპარეზეს ზურაბ სტურუამ და ნინო გურიელმა. ქალებში პირველობისთვის სხვადასხვა ქვეყნის 10 წარმომადგენელი იბრძოდა წრიული სისტემით. გურულმა 9 შესაძლებლიდან 8,5 ქულა მოაგროვა და პირველი ადგილი დაიკავა. ამდენივე ქულით, მაგრამ უარესი კოეფიციენტით მეორე ადგილზე ბელგიელი ანა ზოზულია გავიდა. 7 ქულით მესამე იყო საამიროელი ესა ალ-ზარენი.**

ვაჟებში 6,5 ქულით ყველას უკრაინელმა ანტონ კორობოვმა აჯობა. გამარჯვებულს ნახევარ-ნახევარი ქულით ჩამორჩნენ ზურაბ სტურუა და აზერბაიჯანელი სარხან გულუვი, რომლებმაც, შესაბამისად, მეორე-მესამე ადგილები გაინაწილეს.

**ლაშა ბედია**

## სინგაპური— 2010

# სანუგეშოდ — ერთი „ბრინჯაო“

**ორიოდე დღეც და სინგაპურში დამთავრდება მსოფლიოს ახალგაზრდობის პირველი ოლიმპიური თამაშები, რომლებშიც 205 ქვეყნის 3500-ზე მეტი ქალ-ვაჟი მონაწილეობს.** შეჯიბრებებში საქართველოდან მხოლოდ 5 სპორტსმენი (!ძ ჩაება, ჩვენებურთა ასეთი სიმცირე იმის შედეგია, რომ ახალგაზრდობის ამ დიდი ფორუმისთვის დროულად არავინ იფიქრა. სინგაპურიდანაც მწირი ნადავლით ვბრუნდებით — ჩვენი დელეგაციის ყულაბაში ერთადერთი ბრინჯაოს მედალია, თავისუფალი სტილით მოჭიდავე ირაკლი მოსიძის მოპოვებული.




გასულ უქმეებზე ჯილდოებისთვის ბრძოლაში ძიუდოისტებიც ჩაებნენ. ქართველთაგან თითო ქალ-ვაჟი ცდიდა ძალებს. 66 კილოში ბექა ტულუში სტარტზევე დამარცხდა ყაზახ კაირატ აგიბაიევთან იპონით. მართალია, მან დამამშვიდებელ ჯგუფში იყოჩალა და ოთხ მეტოქეს მოუგო, მათ შორის — პირველ წრეში მძლეველ აგიბაიევს, მაგრამ ბრინჯაოსთვის გადამწყვეტი პაექრობა გაფრთხილებებით დათმო სომეხ დავიდ ხაზარიანთან და საბოლოოდ მეხუთე ადგილით დაკმაყოფილდა.

გოგონათა ტურნირი კარგად დაიწყო სოფიო ბერიძემ (63 კგძ. პირველ წრეში მან იპონით აჯობა კამერუნელ სოფინა ერეის, მერე კი ზედიზედ ორი შეხვედრა წააგო ბრაზილიელ ფლავია გომეშთან და ლიბანელ კარენ ჩამასთან და შეჯიბრებასაც დაემშვიდობა.

საერთო გუნდურ ჩათვლაში კვლავ ჩინელები ლიდერობენ, რომლებმაც 42 მედალი (24 ოქრო, 14 ვერცხლი, 4 ბრინჯაოძ მოიპოვეს. მეორე ადგილზე 39 მედლით (16, 13, 10ძ რუსები არიან, მესამე ადგილს კი ჯერჯერობით კორეელები (9, 2, 2ძ ინარჩუნებენ.

**ლექსო ცინცაძე**

## ფეხბურთი



# აქეთურ-იქითური

**ეროვნული ჩემპიონატი. II ტური.** „ოლიმპი“ — „დინამო“ 1:0, „ბაია“ — „ვიტ ჯორჯია“ 2:0, „ზესტაფონი“ — „ცხინვალი“ 4:0, „სამტრედია“ — „სიონი“ 0:1, „კოლხეთი“ — „ტორპედო“ 2:0.

**ინგლისი.** „არსენალი“ — „ბლექპული“ 6:0, „უიგანი“ — „ჩელსი“ 0:6, „ფულჰემი“ — „მანჩესტერი“ 2:2

**გერმანია.** „ბაიერნი“ — „ვოლფსბურგი“ 2:1, „ჰოფენჰაიმი“ — „ვერდერი“ 4:1, „ბორუსია“ — „ლევერკუზენი“ 0:2, „ჰამბურგი“ — „შალკე“ 2:1.



**საფრანგეთი.** „პარი სენ-ჟერმენი“ — „ბორდო“ 1:2, „ლიონი“ — „ბრესტი“ 1:0, ტულუზა“ — „არლი“ 2:1. „მარსელი“ — „ნიცა“ 2:0.

**ესპანეთის სუპერთასი.** „ბარსელონა“ — „სევილია 4:0 (1:3ძ.

**იტალიის სუპერთასი.** „ინტერი“ — „რომა“ 3:1.

## ინტერნეტიდან

### დაემხო დიდი რეკორდი

**ასეთად მიიჩნევდნენ ამჟამად დანიაში დამკვიდრებული კენიელი უილსონ კიპკეტერის მიერ 1997 წლის 24 აგვისტოს 800 მეტრზე სირბილში დამყარებულ მსოფლიო რეკორდს — 1.41.11. და, აი, 13 წლის შემდეგ მძლეოსნობის მოყვარულები გაახარა 21 წლის კენიელმა მორბენალმა დევიდ რუდიშამ. მან ბერლინში გამართულ შეჯიბრებაზე ეს დისტანცია გაირბინა 1. 41.04 წუთში, რაც, სულ 2 მეასედი წამით უკეთესია წინა რეკორდზე.**




რუდიშა 2000 წლის მსოფლიო ჩემპიონია იუნიორებს შორის. შარშან კი ბერლინშივე ის ფანალშიც კი მოხვდა.

### გმირობა წყალზე

**როგორც უკვე ვწერდით („სრ“ 21.08ძ, ამერიკულ ირვაინში მიმდინარეობდა წყნარი ოკეანის ჩემპიონატი ცურვაში. შეიძლება ითქვას, ჩემპიონატზე ნამდვილი გმირობა ჩაიდინა რაიან ლოხტემ. მან ექვსი ოქროს მოდელი მოიპოვა, საიდანაც 4 — პირადი დისციპლინებში.** სახელგანთქმული მაიკლ ფელეპსი მხოლოდ 2 ოქროს მედლით „დაკმაყოფილდა“ ინდივიდუალურ პაექრობაში, 3 კი ესტაფეტაში მოიხვეჭა. თუმცა 14-გზის ოლიმპიური ჩემპიონი სენსაციურად ვერ მოხვდა 400 მეტრზე კომპლექსური ცურვის ფინალში ამავე დროს სეზონის ბრწყინვალე შედეგი აჩვენა 100 მეტრზე თავისუფალი სტილით სპრინტერული ესტაფეტის პირველ ეტაპზე — 48,13.



სტატისტიკოსებმა ისიც იანგარიშეს, რომ ამასწინანდელ ევროპის ჩემპიონატთან შედარებით, ბუდაპეშტში რომ გაიმართა, ნაჩვენები შედეგებით გაიმარჯვებდნენ ქალები 11:9, ხოლო მამაკაცების შედეგებით აშკარად წინ არიან ოკეანეგადაღმელები — 14:6.

### ფრენბურთმა წარმოაჩინა

**ალბათ, არახალი იქნება, თუ ვიტყვით, რომ პროფესიონალურ სპორტს დიდი ფულის მოტანა შეუძლია, თუმცა დამოკიდებულია სპორტის სახეობაზე. მაგალითად, ამერიკელი ლამაზმანი ლინდსეი ვაგნერი მილიონერი ვერ გახდებოდა, რადგან ფრენბურთით იყო გატაცებული. ამერიკაში კი ყველაზე შემოსავლიანია ბეისბოლი, ამერიკული ფეხბურთი და კალათბურთი.**



და მაინც, ლამაზმანმა ნახა გამოსავალი: თავისი დიდებული შესახედაობით ის შეამჩნიეს მამაკაცთა ჟურნალების შემფებმა. მისი კარიერის მწვერვალი კი გახდა გადაღებები „პლეიბოისთვის“. ახლა მას აქვს ყველაფერი, რაზეც ოცნება შეიძლებოდა — ძვირფასი მანქანებიც, საუკეთესო დიზაინერების ტანსაცმელიც, სოლიდური თანხა ბანკებშიც, რაც მას მოუტანა ბავშვობიდან სპორტში მოპოვებულმა შესანიშნავმა გარეგნობამ, მათ შორის, გრძელმა ფეხებმა.

## მოგვმართავენ, გვეკითხებიან

**რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.**

**კითხვა: 16 დღეში მიწევს დეკრეტულ შვებულებაში გასვლა. მაქვს მხოლოდ ორი თვის შრომის სტაჟი. მომეცემა თუ არა ფასიანი ან უხელფასო დეკრეტული შვებულება და როგორი წესით მოხდება მისი გამოანგარიშება?**

**იამზე კვინიკაძე**

**პასუხი:** შვებულება, ორსულობის და მშობიარობის, ასევე ბავშვის მოვლის გამო 477 კალენდარული დღის ოდენობით მოგეცემათ, მიუხედავად შრომის სტაჟის ხანგრძლივობისა. რაც შეეხება საშვებულებო ანაზღაურებას, იგი გამოანგარიშებული უნდა იქნეს ფაქტობრივი ნამუშევარი თვეების საშუალო ანაზღაურებიდან, ხოლო თუ ყოველთვიურად ფიქსირებულ ხელფასს იღებთ – ბოლო თვის ანაზღაურების მიხედვით.

* * *

**კითხვა: მიმდინარე წლის 11 ივლისს სამუშაოდან გამათავისუფლეს შტატების შემცირების გამო. დღემდე საბოლოო ანგარიში არ გაუსწორებიათ. მეკუთვნის დამატებითი ერთი თვის ხელფასი?**

**დავით მაღლაფერიძე**



**პასუხი:** დიახ, გეკუთვნით, ვინაიდან შტატების შემცირების დროს, შრომითი ხელშეკრულების მოშლის ინიციატორად დამსაქმებელი ითვლება. ამდენად, დასაქმებულს საბოლოო ანგარიშის გასწორების დროს, რომელიც სამუშაოდან განთავისუფლების დღიდან არაუგვიანეს 7 დღეში უნდა მოხდეს, დამატებით არანაკლებ ერთი თვის ხელფასი აუცილებლად უნდა მიეცეს (საფუძველი: საქართველოს შრომის კოდექსის 38-ე მუხლის მე-3 პუნქტი).

* * *

**კითხვა: ვმუშაობ სახელმწიფო დაწესებულებაში მცირე ხელფასზე, არ ვარ საჯარო მოსამსახურე. გთხოვთ მაცნობოთ, კანონის თანახმად, შემიძლია თუ არა ვიმუშაო შეთავსებით?**

**გურამ კოხრეიძე**

**პასუხი:** მოქმედი კანონის თანახმად, შრომითი ხელშეკრულება შეთავსებით სამუშაოზე შეიძლება დაიდოს პირთან, რომელსაც ძირითადი სამუშაოდან თავისუფალ დროს შეუძლია სხვა ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულება.

* * *

**კითხვა: ვარ 28 წლის, ვმუშაობ დაქირავებით. დამსაქმებელი ერთსა და იმავე პირობებზე გვიფორმებს რამდენიმე ხელშეკრულებას. გთხოვთ, მაცნობოთ, ასეთ შემთხვევაში რომელ ხელშეკრულებას ენიჭება უპირატესობა?**

**ლეილა მჭედლიშვილი**

**პასუხი:** კანონის თანახმად, დამსაქმებელთან ერთსა და იმავე პირობაზე დადებული რამდენიმე ხელშეკრულების არსებობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება ბოლოს დადებულ ხელშეკრულებას.

* * *

**კითხვა: ამ რამდენიმე დღის წინათ შვილად ავიყვანე ერთი თვის ბავშვი. ვმუშაობ, გთხოვთ მაცნობოთ, რა ხანგრძლივობის ფასიანი და უხელფასო შვებულება მეკუთვნის?**

**ლანა საყვარელიძე**

**პასუხი:** შვებულება გეკუთვნით საერთო ჯამით 365 კალენდარული დღის ხანგრძლივობით, საიდანაც ანაზღაურებადია 70 კალენდარული დღე.

* * *

**კითხვა: ნასვამ მდგომარეობაში მოვყევი საავტომობილო კატასტროფაში და მეოთხე თვეა ვწევარ. დროებითი შრომისუუნარობის გამო დახმარების ფურცლის მიცემაზე ექიმმა უარი მითხრა, არადა სამსახური მიცდება, სწორია ასეთი გადაწყვეტილება?**

**ელგუჯა ონოფრიშვილი**

**პასუხი:** ექიმის გადაწყვეტილება კანონიდან გამომდინარეობს – თუ დროებითი შრომისუუნარობა გამოწვეულია დაავადებით ან ტრავმით, რომლის უშუალო მიზეზია არაფხიზელი მდგომარეობა, იგი შრომისუუნარობის გამო დახმარების დანიშვნაზე უარის თქმის საფუძველია.

**მოგვმართეთ, შეგვეკითხეთ: 99-62-77.**

## ალიან-ჩალიანი

### მინისტრი საცხენელებს ატყუებს

**ყვარლის რაიონის სოფელ საცხენეს მოსახლეობა ხელისუფლებას ცრუ დაპირებებში ადანაშაულებს. როგორც საცხენეს მცხოვრებლებმა კახეთის საინფორმაციო ცენტრს განუცხადეს, 2010 წლის 30 მაისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებამდე სოფელში გარემოს დაცვის მინისტრი გოგა ხაჩიძე იყო ჩასული. მინისტრი ადგილობრივებს დაპირდა, რომ მდინარე შოროხევზე, რომელიც სოფელს წალეკვით ემუქრება, ნაპირსამაგრი სამუშაოები ჩატარდებოდა.**

ხაჩიძის დაპირების თანახმად, ნაპირსამაგრის აღდგენითი სამუშაოები 350 მეტრი სიგრძის მონაკვეთზე უნდა ჩატარებულიყო. ამასთან, უნდა გაწმენდილიყო კალაპოტი და მოწყობილიყო გაბიონის დამცავი კედელი, რისთვისაც სახელმწიფო ბიუჯეტიდან 200 ათას ლარზე მეტი დაიხარჯებოდა. – მდინარეზე ნაპირსამაგრი სამუშაოები მომავალი კვირიდან დაიწყება და დაახლოებით თვენახევარში დასრულდება, – განაცხადა საცხენეში მყოფმა მინისტრმა 7 მაისს.

მინისტრის ამ განცხადებიდან 3 თვეზე მეტი გავიდა და საცხენეში ნაპირდაცვითი სამუშაოები არათუ დამთავრდა, არც დაწყებულა.

– ხაჩიძის შემდეგ აქ არავინ მოსულა. საცხენეში სკოლა არ გვაქვს და ბავშვები ახალსოფლის სკოლაში დადიან. სკოლაში რომ მივიდნენ, მდინარე შოროხევში, რკინის ხიდზე უნდა გაიარონ. გაზაფხულზე იმხელა წყალი მოდიოდა, რომ სკოლიდან მომავალი ბავშვი მდინარემ წაიღო და დახრჩობას ძლივს გადავარჩინეთ, – ამბობს საცხენეს მკვიდრი რამაზ ჩაჩანიძე.

### ციტრუსების მოსავალმაც გვიმტყუნა

**წლევანდელ სეზონზე ციტრუსის შედარებით ნაკლებ მოსავალს ელოდებიან, ვიდრე შარშან. 2009 წლის სეზონზე აჭარაში 105 ათასი ტონა ციტრუსის მოსავალი მოვიდა, წელს კი წინასწარი მონაცემებით, 50-60 ათას ტონა ციტრუსის მოსავალს ელოდებიან, რაც ციტრუსის მეწლეურობას უკავშირდება.**

წინასწარი პროგნოზით, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში ციტრუსის მოსალოდნელი მოსავალი გასულ წელთან შედარებით საშუალოდ 40-45 პროცენტით ნაკლებია, ხოლო ქობულეთის მუნიციპალიტეტში 55-60 პროცენტით.

მოსავლის მოსალოდნელი რაოდენობა სექტემბერში იქნება დაზუსტებული.

**ჯი-ეიჩ-ენი**

**შვილი ირინა ჩაჩავა, შვილიშვილები ეკა ჯაფარიძე, მიხეილ გიგინეიშვილი, თიკა, თეონა ცინცაძეები, დეიდაშვილი საშურა შენგელაია ოჯახებით იუწყებიან**

**თინა მხეიძე-ჩაჩავას**

**გარდაცვალებას, პანაშვიდი 22, 23 VIII, 17 სთ. გამოსვენება 24 VIII, 15 სთ. მისამართი: ჭავჭავაძის გამზირი 24.**



**საქართველოს მეან-გინეკოლოგთა და პერინატოლოგთა ასოციაცია, აკადემიკოს კონსტანტინე ჩაჩავას მრავალპროფილიანი კლინიკა, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მეანობა-გინეკოლოგიის დეპარტამენტი, ქალაქის №1 კლინიკური საავადმყოფოს მეანობა-გინეკოლოგიის განყოფილება ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა აკად. კონსტანტინე ჩაჩავას მეუღლე, უსათნოესი ქალბატონი, უმაღლესი სკოლის დამსახურებული პედაგოგი**

**თინა მხეიძე**

**და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

## კრიმინალი

### დააკავეს თევზსაჭერი სეინერი

**ჩაქვის საზღვაო რაიონში, თევზჭერის დარღვევის ფაქტზე დააკავეს თევზსაჭერი სეინერი. სეინერზე 40 კგ. არალიცენზირებული თევზი ბარაბულკა აღმოჩნდა.**

**ალნიშნული სეინერი ბადრაგირებულია ბათუმის იახტკლუბში და საქმე საგამოძიებო სამსახურს და გარემოს დაცვის კონვენციურ ინსპექციას გადაეცა.**

**ჯი-ეიჩ-ენი**

## „ბაყაყური“ ეკონომიკა




## ცნობარი

# სად გინდათ, რომ დარეკოთ?

1. ავიაბილეთები ყველა მიმართულებით 36-40-11; 36-50-11; 422-422; 91-37-51; 91-37-52.
2. აეროპორტში დახვედრა-გაცილება 18-22-44; 899 33-33-53.
3. ავტოსადგური „ოკრიბა“ 34-26-92.
4. ადამიანის უფლებათა დაცვის ცენტრი 37-69-50; 45-45-33.
5. ავტომანქანების გაქირავება 895-33-21-00.
6. ამინდის ბიურო 43-95-31; 45-95-32.
7. აეროპორტის საინფორმაციო ბიურო 31-04-21.
8. ბავშვთა უფლებების დაცვის საქალაქო ცენტრი 99-66-04.
9. გაზი გამოძახებით 008; 92-32-46; 92-10-08.
10. შპს „აკადემიკოს გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი“ 53-06-32.
11. საქ. მთავარი პროკურატურის ცხელი ხაზი 40-52-22.
12. გაზის საავარიო (ქალაქისძ 04; 74-86-27, 74-89-04 (საავარიოძ;
38-56-16 (ცენტ. სადისპეტჩეროძ.
13. ჯანდაცვის სამინისტრო 94-34-98 (ცხელი ხაზიძ; 94-49-11.
14. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ცხელი ხაზი 20-62-32.
15. დამკრძალავი ბიურო, მუნიციპალური საწარმო „ჰერმესი“ 21-21-84; 21-21-94.
16. კავკაზუს ონლაინი, დეპეშის გაგზავნა ინტერნეტით 50-60-06.
17. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური 99-10-58.
18. „თელასის“ საინფორმაციო ცენტრი 25-52; 25-52-11.
19. „თელასის“ ცხელი ხაზი 77-99-99; 27-44-11.
20. შპს „იმუნიზაციის ცენტრი“ 31-22-78.
21. იუსტიციის სამინისტრო 40-52-02.
22. კატასტროფის მედიცინის ცენტრი. პაციენტების ტრანსპორტირება რეფერალური პროგრამით მხოლოდ სტაციონარებიდან 53-11-73; 877 45-20-01.
23. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია 38-61-40 (პრესსამსახურიძ; 31-13-13 (ადმინ. დეპარტამენტიძ.
24. კონტროლის პალატა 43-81-81 (ცხელი ხაზიძ; 43-81-78 (კანცელარიაძ.

## ყველა ზარი ხელსაწყოცად

25. კანალიზაციის საავარიო სამსახურის ცხელი ხაზი 93-11-11.
26. ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო 43-11-00.
27. მერიის ცხელი ხაზი 72-22-22.
28. მერიის ცხელი ხაზი – ცხოველებისგან დაზარალებულთა დახმარება 54-04-43.
29. მერიის სამოქალაქო მონაწილეობის და ინტეგრაციის საქალაქო სამსახური 37-81-44; 37-81-53.
30. ნავთლუღის ავტოსადგური 74-83-03; 74-63-23.
31. სახალხო დამცველი 99-58-98; 92-24-79; 92-31-66.
32. რკინიგზის სადგური 56-35-66; 56-47-60.
33. სახანძრო-სამაშველო ოპერატიული სამსახური 01, 011, 75-20-85; 41-17-71; 41-17-72.
34. საპატრულო პოლიცია 022.
35. „სასწრაფო სამედიცინო დახმარება 033“; 03; 54-70-04; 54-70-03.
36. სასწრაფო სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით 24 საათის განმავლობაში 478-478; 871 478-478.
37. საქართველოს მთავრობის კანცელარია 92-26-87 (მისაღებიძ.
38. საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტი 28-47-47; 28-48-22; 28-48-93; 28-48-96 (ცხელი ხაზიძ.
39. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების ცენტრი 077.
40. სადღეღამისო სტომატოლოგიური კლინიკა, 22-67-22; 10-30-50; 899 57-64-12.
41. სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვეტინსპექციის ცხელი ხაზი 37-80-50.
42. საქართველოს სტანდარტების ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო 61-30-90; 61-30-21.
43. საყოფაცხოვრებო და სამშენებლო ნარჩენების გატანა 45-20-23.
44. სამედიცინო-საინფორმაციო სამსახური 25-22-72 (ადმინისტრაციაძ; 25-22-45 (ადგილზე მომსახურების განყოფილება, მედიკამენტების სახლში მიტანაძ.
45. სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიის, მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური, რეგისტრაციების და ნებართვების სამმართველო 53-09-67.
46. ტაქსი გამოძახებით 93-91-00.
47. ტრეფიკინგის მსხვერპლთა და უცხოეთში წამსვლელთა ფსიქოლოგიური და იურიდიული დახმარება 100-229.
48. შინაგან საქმეთა სამინისტროს ცხელი ხაზი 51-70-34; 41-10-68 (კანცელარია, მოქალაქეთა და წერილების განყოფილებაძ.
49. ფინანსთა სამინისტრო 26-14-12; 26-14-10 (კანცელარიაძ; 26-24-09.
50. ფინანსთა სამინისტროს სატელეფონო ცენტრი, საგადასახადო კონსულტაციები 007.
51. ქორწინების რეგისტრაცია სიღნაღში 895 24-77-77.
52. ღვთისშვილთა კავშირის ცხელი ხაზი (შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვისძ 25-01-45; 22-54-17.
53. „ყაზტრანსგაზი“ 20-04-04 (გაზიფიცირების სამსახურიძ.
54. „ყაზტრანსგაზის“ საინფორმაციო 31-04-04.
55. „ყოფილი პოლიტპატიმრები – ადამიანის უფლებებისთვის“ 93-14-28; 877 71-17-20.
56. შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის ცხელი ხაზი 98-39-43; 99-53-50.
57. შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს სამორიგეო 41-40-63; 41-42-63.
58. შინაგან საქმეთა სამინისტროს მორიგე 74-62-67.
59. სააქციო საზოგადოება „ცენტრალური ავტოვაგზალი“ 75-34-33.
60. ნარკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, ნარკოლოგიურ-ამბულატორიული დაწესებულება 39-95-08 (რეგისტრატურაძ.
62. წყალკანალის ექსპლუატაციის სამსახური 48-72-88 (უფროსი მორიგეძ.
63. წყალკანალის ცხელი ხაზი 93-11-11.

## დაიჯესტი

### შემოდგომის ტყის მსუბუქი სურნელი...

**ცხოვრებაში „შავ ზოლს“ აუცილებლად „თეთრი ზოლი“ მოსდევს – ამ გამოთქმის სისწორის შემოწმება ფრანგ ფერმერთა წყვილმა გადაწყვიტა და ზუთხისებრ თევზთა ხიზილალის მაგივრად გურმანებს ახალი დელიკატესი შესთავაზა.**



ცოლ-ქმარი დომინიკ და სილვი პიერუ ლოკოკოების მოშენებითა და გაყიდვით ირჩენდნენ თავს. მათი ფერმა საფრანგეთის ჩრდილოეთ ნაწილშია, სადაც ამ საქმიანობისთვის სათანადო კლიმატური პირობებია. მათი ბიზნესი წარმატებული ბოლო დრომდეც იყო – პროდუქციის შემკვეთები ქვეყნის საუკეთესო რესტორნები იყვნენ. რამდენიმე წლის წინათ პარიზის ერთ-ერთი ყველაზე ფეშენებელური რესტორნის მეპატრონემ ცოლ-ქმარს შესჩივლა, რომ მისი კლიენტები შავი ხიზილალის საგრძნობი გაძვირებით უკმაყოფილებას გამოთქვამენ, რადგან მისი ყიდვა სხვა ქვეყნებში უხდება, ზუთხისებრთა ოჯახის თევზის ჭერის კვოტები კი წლიდან წლამდე მცირდება. მაშინ იყო, რომ ფერმერებს აზრად მოუვიდათ უცხოური დელიკატესის ალტერნატივის შეთავაზება – ქვირითი ლოკოკინებსაც ხომ აქვთ! საქონლის მიღების, დამზადებისა და შენახვის ტექნოლოგიის, ასევე ლოკოკინებისთვის საგანგებო დიეტის შემუშავებას, დომინიკმა და სილვიამ სამი წელი მოანდომეს. უნდა ითქვას, რომ დელიკატესი საკმაოდ ძვირიანი გამოდგა: 50 გრამი 115 ევრო ღირს, თუმცა ამას თავის გამართლება აქვს: ლოკოკინების ხიზილალას ხომ ხელით იღებენ, თანაც კარგი ცხოვრება ფერმერებსაც უნდათ!

შესახედად, ლოკოკინების თეთრი ხიზილალა წვრილ მარგალიტებს წააგავს, ხოლო შემოდგომის ტყის მსუბუქი სურნელების მქონე გემომ, მომხმარებელთა დიდი ნაწილის მოწონება დაიმსახურა.

### ყველაზე სწრაფი, ექსკლუზიური

**საქვეყნოდ ცნობილი იტალიური საავტომობილო ფირმა „ფერარი“ ავტომშენებლობის ისტორიაში ყველაზე სწრაფი სერიული, ექვსლიტრიანი, V12 ძრავით აღჭურვილი „599 CTO-ს გამოშვებას იწყებს. 661 ცხენის ძალით აღჭურვილი აგრეგატი, რომლის პირვანდელი ვარიანტი ლეგენდარულ „ფერარი ენცოზე“ გამოიყენებოდა, საათში 100 კილომეტრის სიჩქარეს ადგილიდან 3,35 წამში (!) შეძლებს, მისი მაქსიმალური სიჩქარე კი საათში 335 კილომეტრია.**



აღსანიშნავია, რომ „599 CTO“ მოდიფიკაციის „ფერარის“ კომპანია შეზღუდული ოდენობით, სულ 599 ცალს გამოუშვებს და მათზე შეკვეთების მთელი პაკეტი უკვე დიდი ხანია ამოწურულია.

### რა ტყუილად ვბაქიბუქობთ!

**რამდენიმე თავის წინათ მექსიკის ყურეში „ბრიტიშ პეტროლეუმის“ კუთვნილ ჭაბურღილზე მომხდარი კატასტროფა უდიდესია ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიაში, რომელმაც მილიარდობით ზარალი მოუტანა. ავარიის შედეგების საბოლოოდ განჭვრეტა დღესდღეობით პრაქტიკულად შეუძლებელია. ამ ცოტა ხნის წინათ სპეციალისტებმა როგორც იქნა შეძლეს ჭაბურღილის ამოქოლვა, მაგრამ ისმება კითხვა:**



**მბურღავებსა და სხვა უამრავი პროფილის ინჟინრებს ამის გაკეთება რომ ვერ მოეხერხებინათ, რამდენად რეალური იქნებოდა კატასტროფას პლანეტარული მასშტაბი მიეღო?**

ოკეანოლოგ ალექსანდრე გოროდნიცკის აზრით, ამ პრობლემას ადამიანი რომ გამკლავებოდა, მას, როგორც ჩანს, თავად ბუნება გადაჭრიდა. საქმე ის არის, რომ თავისი ქიმიური შემადგენლობის წყალობით, ოკეანის წყალს ნახშირწყალბადების გადამუშავება ისე შეუძლია, რომ 12-18 თვეში მათი კვალიც არ დარჩებოდა. თუმცა, მეცნიერის თქმით, არც ისაა გამორიცხული, რომ მექსიკის ყურეში ჭაბურღილიდან გადმოღვრილი ნავთობის მოცულობას მსოფლიო ოკეანე ვერც მოერეოდა, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ ამ მასშტაბის უბედურების არც საზომი შკალა გვაქვს, არც შესადარებელი რაიმე მაგალითი.

ეს კი კიდევ ერთი მკაცრი გაფრთხილებაა იმის თაობაზე, რომ ადამიანს სულ ტყუილად მიაჩნია თავი ბუნების გვირგვინად...

მოამზადა **ოთარ ტურაბელიძემ**

## დღის კალენდარი — 24 აგვისტო

**ხსენება მოწამისა ევპოლოს მთავარდიაკონისა (304წ.; მოწამისა სოსანა ქალწულისა და მისთანა: გაიოზ რომის პაპისა, გაბიანე ხუცისა, კლავდისა, მაქსიმესი, პრეპედიგონასი და ძეთა მისთა ალექსანდრესი და კუფესი (295-296წ.**



ამოდის 05.15
ჩადის 18.52

ამოდის 16.26
ჩადის 06.58

### დაიბადნენ:

1750 – **ლეტიცია ბონაპარტე,** ნაპოლეონ პირველის დედა.
1839 – **ედუარდ ნაპრავნიკი,** რუსი დირიჟორი, კომპოზიტორი.
1848 – **ევგენი ლანსერე,** რუსი მოქანდაკე.
1896 – **ალექსანდრე მაყაშვილი,** ბოტანიკოსი.
1898 – **სერგეი სპასკი,** რუსი პოეტი, ქართველი კლასიკოსების მთარგმნელი.
1899 – **ხორხე ლუის ბორხესი,** არგენტინელი მწერალი.
1903 – **სიკო ფალავანდიშვილი,** კინომსახიობი და რეჟისორი.
1912 – **გიორგი კალანდაძე,** პოეტი, ლიტერატურათმცოდნე.
1914 – **პარმენ ზაქარაია,** ხელოვნებათმცოდნე, პროფესორი.
1924 – **გიორგი ცაბაძე,** კომპოზიტორი. გარდაიცვალა 1986 წელს.
1930 – **ნოდარ ამაღლობელი,** საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პარლამენტის წევრი. გარდაიცვალა 2004 წელს.
1950 – **ნანა ჯორჯაძე,** არქიტექტორი, კინორეჟისორი, ევროპისა და ამერიკის კინოაკადემიის წევრი.
1948 – **ჟან-მიშელ ჟარი,** ფრანგი კომპოზიტორი, ლაზერულ-კომპიუტერული შოუს ორგანიზატორი.

### გარდაიცვალნენ:

79 – **პლინიუს უფროსი (გაიუს პლინიუს სეკუნდუსი),** რომაელი მწერალი, ფილოსოფოსი. დაიღუპა ვულკან ვეზუვის ამოფრქვევისას.
1540 – **ფრანჩესკო პარმიჯანინო,** იტალიელი ფერმწერი.
1846 – **ივან კრუზენშტერნი,** რუსი ზღვაოსანი, ადმირალი.
1832 – **ნიკოლა ლეონარ სადი კარნო,** ფრანგი ფიზიკოსი, თერმოდინამიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი.
1921 – **ნიკოლაი გუმილიოვი,** რუსი პოეტი.

### მოვლენები:

**79 წელი** – ვულკან ვეზუვის ამოფრქვევის შედეგად განადგურდა ქალაქები პომპეი და ჰერკულანუმი.
**410 წელი** – რომს ალყა შემოარტყეს ვესტგოთებმა. აქედან დაიწყო დასავლეთ რომის იმპერიის დაცემა.
**1349 წელი** – კიოლნში (გერმანია) ებრაელებმა თავი დაიწვეს, რათა იძულებითი ნათლობა აეცილებინათ თავიდან.
**1572 წელი** – ბართლომეს ღამე – კათოლიკეების მიერ ჰუგენოტების მასობრივი ჟლეტა პარიზში. დახოცეს 3000-ზე მეტი ჰუგენოტი.
**1578 წელი** – ოსმალთა ჯარის სარდალმა მუსტაფა ლალა-ფაშამ აიღო თბილისი.
**1821 წელი** – მექსიკამ მოიპოვა დამოუკიდებლობა ესპანეთისგან.
**1914 წელი** – გერმანიის არმიამ დაიპყრო ბელგია.
**1931 წელი** – სსრკ-მ და საფრანგეთმა ხელი მოაწერეს თავდაუსხმელობის ხელშეკრულებას.
**1932 წელი** – ანელია ირჰარტი პირველი მფრინავი ქალი გახდა, რომელმაც განახორციელა ტრანსკონტინენტური გადაფრენა აშშ-ზე.
**1944 წელი** – რუმინეთი გერმანიის წინააღმდეგ ომში ჩაერთო.
**1949 წელი** – ძალაში შევიდა გადაწყვეტილება ნატოს შექმნის შესახებ.
**1966 წელი** – საბჭოთა კავშირმა გაუშვა თანამგზავრი „ლუნა-11“ მთვარის ირგვლივ ორბიტაზე.
**1991 წელი** – მიხეილ გორბაჩოვი ცკ-ის გენერალური მდივნობიდან გადადგა.
**1991 წელი** – უკრაინამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა.
**1995 წელი** – საქართველოს პარლამენტმა მიიღო ახალი კონსტიტუცია.

**ღირსსახსოვარი დღეები:**

**უკრაინა** – დამოუკიდებლობის დღე.
**ყაზახეთი** – ეროვნული დროშის დღე.
**ლიბერია** – დროშის დღე.

**მედიანიუსი**

### ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | +18 – +25 |
| ქუთაისი. | +23 – +36 |
| ბათუმი. | +19 – +27 |
| ზუგდიდი. | +19 – +32 |
| თელავი. | +16 – +29 |

### ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი



| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.8455 ლარი |
| 1 ევრო | – 2.3676 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.8795 ლარი |
| 100 რუბლი | – 5.0609 ლარი |
| 1000 სომ. დრამი | – 5.0238 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.2963 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.3390 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.2114 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.7202 ლარი |



## კადრი



## ანეკდოტები

– ჩემთან ერთი ავადმყოფი მოიყვანეს, რომელსაც ერთდროულად პარანოიაც სჭირს და განდიდების მანიაც, – ეუბნება ფსიქიატრი თავის კოლეგას.
– ეგ როგორ?
– ეჩვენება, რომ გამუდმებით პაპარაცები დასდევენ. და ერთი განახვა, როგორ ამაყობს ამით.



* * *

მხოლოდ რუსი მამაკაცი არ კითხულობს სიტყვების – „ასი გრამის“ – გაგონებაზე, რისი ასი გრამიო.

* * *

– ქალური ლოგიკა, ეს – მამაკაცურის უარყოფაა, – ეუბნება ბიჭი გოგოს.
– არავითარ შემთხვევაში!

* * *

ერთნემსიანი ზლარბი – ეს შპრიცია.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.